პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 17 (1446), პარასკევი, 23 აპრილი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ლენინი და ლიტერატურა

შესრულდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდათხუთმეტი წლისთავი.

ლენინის გიგანტური ფიგურა იქცა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ჩირაღდნად და მანათობელ ვარსკვლავად.

ლენინი სათავეში ჩაუდგა რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიულ ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის. ლენინმა და მის მიერ გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ მარქსისტული თეორიის კაშკაშა სინათლით გაუშუქეს კომუნიზმისაკენ კაცობრიობის განვითარების გზა.

ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსის მოძღვრება ახალი ისტორიული ეპოქის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის პირობების შესაბამისად. მარქსიზმი განუყოფელია თავისი გაგრძელების — ლენინიზმისაგან.

ლენინმა წამოაყენა დებულება მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის გარღვევისა მის სუსტ რგოლში, დაამტკიცა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის თავდაპირველი გამარჯვება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში. ლენინისა და ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში ეს შესაძლებლობა განახორციელა.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფელობა და უძლეველი ძალა თვალსაჩინოდ ცხადყო ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ.

* * *

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური პირობები, კლასთა ბრძოლა.

მარქსიზმის ფუძემდებლებმა დაამუშავეს ლიტერატურის იდეურობისა და პოლიტიკური ტენდენციურობის პრობლემა. ენგელსი წერდა, რომ ტრაგედიის მამამთავარი ესქილე და კომედიის მამამთავარი არისტოფანე იყვნენ მკვეთრად გამოხატული ტენდენციური პოეტები. ზუსტად ასეთივენი იყვნენ დანტე და სერვანტესი. შილერის „ვერაგობისა და სიყვარულის" მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი პირველი გერმანული პოლიტიკური ტენდენციური დრამაა. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც საუცხოო რომანებს წერენ, — დასძენდა ენგელსი, — ყველანი ტენდენციურნი არიან.

პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ახალ პირობებში ლენინმა უშუალოდ განაგრძო და განავითარა მარქსისა და ენგელსის იდეები ცხოვრების მხატვრულ შემეცნებასა და ასახვაში ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ, პარტიისა და მუშათა კლასის ამოცანების შესახებ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ლენინმა ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის მარქსისტული პრინციპი.

ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს თავის განთქმულ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" განსაზღვრა ლიტერატურის ხასიათი პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი ემსახურება არა სალონების გულმოყირჩებულ „გმირ-ქალს", არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს", არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომლებიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას განაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შექმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა... და ახლანდელ გამოცდილებას შორის". (თხზ. ტ. 10 გვ. 40-41).

ლენინის აზრით ლიტერატურა არის საზოგადოებრივი ბრძოლის მძლავრი იარაღი. იგი გამსჭვალული უნდა იყოს სოციალიზმის იდეებით, მაღალმხატვრულად და მართლად ასახოს ცხოვრება, ეწეოდეს თავისი დროის მოწინავე რევოლუციური იდეების პროპაგანდას. იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი ისტორიული როლი, ლიტერატურა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, რევოლუციურ პრაქტიკასთან, განაგრძოს ძველი მოწინავე კულტურის საუკეთესო ტრადიციები და შემოქმედებითად შეიწოვოს ნოვატორული, რევოლუციური ტენდენციები. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი. მხოლოდ კომუნისტური პარტიულობის პრინციპის რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით განხორციელებით შეძლებს ლიტერატურა „ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებშიც თავი დააღწიოს ბურჟუაზიის უღელს და ნამდვილად მოწინავე და ბოლომდე რევოლუციური კლასის მოძრაობას შეერწყას".

ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირის აუცილებლობა. ამავე დროს იგი გადაჭრით ილაშქრებდა ლიტერატურის პარტიულობის ვულგარულად გაგების წინააღმდეგ. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხატვრული შემოქმედება არ შეიძლება მექანიკურად გავაიგივოთ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სხვა ფორმებთან. „უდავოა ამ საქმეში უპირობოდ საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს".

„წმინდა ხელოვნების" მიმდევრები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მხატვარი თავისი ხელოვნების სპეციფიურობის გამო თავისუფალი უნდა იყოს საზოგადოების გავლენისაგან და ემსახუროს „აბსტრაქტულ სილამაზეს". ეს იდეალისტური თეორია, რომლის ლოზუნგია „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ეწინააღმდეგება საკაცობრიო კულტურის განვითარების მთელ პრაქტიკას. პროგრესული ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის განუყრელად იყვნენ დაკავშირებული ხალხთან. ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი ისტორია—ეს არის ორი კულტურის—გაბატონებული კლასების რეაქციული კულტურისა და პროგრესული დემოკრატიული კულტურის ბრძოლის ისტორია. ყველა დიდი მხატვრის შემოქმედება ასახავდა ეროვნული კულტურის დემოკრატიულ ტრადიციებს.

ჩვენს დროში, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, ლიტერატურის განვითარება განუყოფელია კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ბრძოლისაგან.

ნამდვილი მწერალი ის არის, ვინც ასახავს თავისი ეპოქის, თავისი ხალხის მოწინავე იდეალებს. სწორედ ამ თვალსაზრისით აფასებდა ლენინი ტოლსტოის, გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის შემოქმედებას.

ლევ ტოლსტოის ლენინმა უძღვნა სტატიების სერია, იგი ტოლსტოის შემოქმედებას განიხილავდა როგორც რუსეთის საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა ანარეკლს მოქცეულს გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან 1905 წლამდე. „ლ. ტოლსტოიმ შეძლო თავის ნაწარმოებებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხები, შეძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში" (თხზ. ტ. 16. გვ. 401).

ლენინს მთელი თავისი მგზნებარე ცხოვრების მანძილზე დაუცხრომლად უყვარდა ლიტერატურა.

20-იან წლებში საბჭოთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს ლენინმა დიდი ყურადღება დაუთმო თავის შრომებში „პროლეტარული კულტურის შესახებ", „ფურცლები დღიურიდან", „უმჯობესია ცოტა და კარგი", „კოოპერაციის შესახებ" და სხვ. საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ლენინი აყენებდა ამოცანას — ასახოს სინამდვილე მის რევოლუციურ განვითარებაში, შესწავლოს უნარი დაინახოს ღრმა შინაარსი ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნის იმ პროცესებისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს, გააფართოვოს კავშირი ხალხთან, ასახოს მასები—მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია ახალი ცხოვრებისათვის მათი ბრძოლის პროცესში. იგი მწერლებს მოუწოდებდა ბოლშევიკური იდეურობისაკენ, მოითხოვდა მათგან ეწერათ ხალხთა ფართო მასებისათვის მისაწვდომად, მაგრამ კი არ დაცემულიყვნენ განუვითარებელ მკითხველამდე, არამედ აემაღლებინათ მისი განვითარების დონე.

როგორც კლარა ცეტკინის მოგონებებიდან ვიცით, ლენინი ამბობდა: ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების ფსკერს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ.

ეს სიტყვები თანაბრად შეეხება როგორც ხელოვნებას, ისე ლიტერატურას.

ლენინისა და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის მთელმა მოღვაწეობამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ სწორედ რევოლუციური მარქსისტები, ბოლშევიკები წარმოადგენენ პროგრესული, დემოკრატიული ლიტერატურის თანმიმდევრულ დამცველებს და ნამდვილ დამფასებლებს, დამფასებლებსა და ქომაგებს იმ ლიტერატურისა, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება.

ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მ. გორკის და ვ. მაიაკოვსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას. მ. გორკი იყო ახლადშობილი საბჭოთა რესპუბლიკის მგზნებარე დამცველი. მსოფლიოში განთქმული მწერალი თავისი ავტორიტეტით ეხმარებოდა პარტიას შემოქმედებითი ინტელიგენციის დარაზმვაში საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. იგი იყო მთელი რიგი ახალი გამოცემათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ახალი სამყაროს მშენებლობას მოახმარა თავისი ნიჭი ვ. მაიაკოვსკიმ, რომელიც თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკით. „მე პირველყოვლისა კი არა პოეტი, არამედ ადამიანი, რომელიც ჩემი კალმით ვემსახურები, დიახ, ვემსახურები, ჩვენი სინამდვილის ახლანდელ საათს და მის მამოძრავებელ — საბჭოთა მთავრობას და პარტიას" — ამბობდა მაიაკოვსკი.

განუხრელად ხელმძღვანელობს რა ლენინის იმ მითითებით, რომ ლიტერატურა არ შეიძლება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებისაგან მოწყვეტილი იყოს, კომუნისტურმა პარტიამ დასახა სოციალისტურ საზოგადოებაში ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, მხატვრული შემოქმედების მებრძოლი იდეურობის გზა.

პარტიამ მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრა სოციალისტური რეალიზმის მთავარი პრინციპი, რაც ნიშნავს იცნობდე ცხოვრებას, შეგეძლოს მართლად ასახო იგი მხატვრულ ნაწარმოებებში, ასახო არა სქოლასტიკურად, არა მკვდრად, არამედ ასახო სინამდვილე მის რევოლუციურ განვითარებაში. ამასთან მხატვრული ასახვის სიმართლე და ისტორიული კონკრეტულობა შერწყმული უნდა იყოს სოციალიზმის საფუძველზე მშრომელ ადამიანთა გარდაქმნისა და აღზრდის საქმესთან.

საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში" (1925 წლის 18 ივნისი), „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ" (1932 წლის 23 აპრილი) და სხვ. პარტია მოითხოვდა მხატვრული ინტელიგენციისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. ლიტერატურული კრიტიკის ძირითად ამოცანად თვლიდა ლიტერატურაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე დროს პარტიამ გადაჭრით დაგმო ლიტერატურულ საქმეებში თვითნებური და ადმინისტრაციული ჩარევის ცდები.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ლიტერატურამ თავისი მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა და ომის დღეების ნამდვილი მხატვრული მატიანე გახდა.

პარტიულ დოკუმენტებში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ საბჭოთა ლიტერატურის ძალა ის არის, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი ამოცანა დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდაში.

პარტიამ მკაცრად დაგმო უიდეობა, აპოლიტიკურობა, ფორმალიზმი მხატვრულ შემოქმედებაში. კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის შედეგად საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურა გახდა მსოფლიოში.

პარტია ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა სსრ კავშირის მოძმე ხალხების ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის განვითარებას.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ლიტერატურის დარგში ლენინური პრინციპებისა და პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგია.

ქართული ლიტერატურა წარმატებით წყვეტს დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე ცხოვრებამ დააყენა. იგი გამდიდრდა აქტუალური თემებით: ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემა, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა, ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსული.

ლიტერატურის ყველა დარგისა და ჟანრის ოსტატები უფრო აქტიურად მუშაობენ თანამედროვე თემაზე, უფრო სრულად, ღრმად და დამაჯერებლად ასახავენ სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში სულ უფრო ძლიერდება საბჭოთა ერების დაახლოება, ურთიერთნდობა და მეგობრობა, კულტურის, მორალისა და ყოფა-ცხოვრების საერთო კომუნისტური ნიშნების განვითარება, მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაცვლა.

ჩვენი პარტია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.), ნოემბრის (1964 წ.) და მარტის (1965 წ.) პლენუმების მიერ აღებულ კურსს, დაუღალავად ზრუნავს საბჭოთა ეკონომიკის და კულტურის ყველა დარგის, მათ შორის ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის დიადი მიღწევების შედეგია, ლენინის იდეების განუხრელად განხორციელების ნაყოფია.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

ლენინის აზრი

კონსტანტინე ლომია

რევოლუცია...
ჩვიდმეტი წელი,
მღელვარე
ცხრაას ჩვიდმეტი წელი.
მუშათა კლასი
ყურს უგდებს ლენინს,
უნდა დაინგრეს
სამყარო ძველი!
უნდა დაინგრეს! —
ამბობს ლენინი
კაცობრიობის
ხსნად მოვლენილი.

ზამთრის სასახლე
ბარბაცებს თვალწინ,
თავს არ იზოგავს
მუშათა კლასი,
კლასი, რომელმაც
გაიგო კარგად —
ბორკილის გარდა
არაფერს კარგავს.

იმ წელს დაინგრა
სამყარო ძველი
და... ხალხი დღესაც

ჰლიდებს ლენინს;
ხალხს ულენინოდ
რა არის წამი!
არ უცხოვრია
ერთი წამითაც,
კომუნიზმისკენ
მიმავალ გზაზე
ქვეყანა მისი
აზრით წავიდა.

აფხაზურიდან თარგმნა
ხუტა ბაგუამ

შეუსრულებელი მოვალეობა

ს. ანტონოვი

◆

მხიარული, მზიანი დღე იყო. მთელი მოედანი, მაღალი, აყრილი ბალახით დაფარულ ფართო კიტაიგოროდის კედლიდან დიდ თეატრამდე და მეტროპოლის მაღაზიამდე, ხალხით იყო სავსე. შენობებზე წითელი დროშები ეკიდა, ზოგიერთის პიჯაკების საღილეებში ფერადი ბაფთები მოუჩანდა, გრილი ნიავი აფრიალებდა ალმებს...

ფრონტზე მიმავალ მოხალისეებს აცილებდნენ. პოლონელთა რაზმები შეიჭრნენ დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინაში, კავშირი შეჰკრეს პეტლიურასთან, დნეპრზე გადმოვიდნენ და კიევს უახლოვდებოდნენ.

დიდი თეატრის შენობის სვეტის გარშემო დაეწყოთ წითელარმიელთა ნაწილები, რომლებიც აქ თოფებით, დროშებითა და ორკესტრებით მოვიდნენ.

მცირე თეატრის ახლოს მოხალისეები შეიკრიბნენ. მათ ძველი ფარაჯები, გაცვეთილი პიჯაკები, ხალათები და ტყავის ქურთუკები ეცვათ. მათ წითელარმიელებთან ერთად უნდა შეეჩერებინათ მტერი. ათას ცხრას ოცი წელი — ცხარე ბრძოლების წელი იყო. რუსეთი ყველგან იბრძოდა, ვისაც კი შეეძლო. და იქაც კი, სადაც ომი არ იყო, საშინელება და ბოროტება სუფევდა. ტიფი ათასობით ადამიანს ხოცავდა, ქვეყანა მშიერი და ღატაკი იყო.

მოხალისეები ფრონტზე წასასვლელად სახელდახელოდ გზაში იარაღდებოდნენ, გზაში იმოსებოდნენ ფორმის ტანსაცმლით და, ხშირად წინა ხაზზე მშვიდობიანი დროიდან შემორჩენილი თავიანთი შარვლებით, თავიანთი პიჯაკებით, გაცვეთილი ფარაჯებით მიდიოდნენ.

მიტინგზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უნდა გამოსულიყო. მისი სახელი ყველას პირზე ეკერა და ბევრი, ვინც მოედნის სხვადასხვა კუთხეში იდგა, თითის წვერებზე იწეოდა, რომ დაენახა, გამოჩნდა თუ არა ლენინი. თვალები მიპყრობილი ჰქონდათ ორ თეატრს შორის სახელდახელოდ გამართული მაღალი ფიცრული ტრიბუნისაკენ, რომელსაც ციცაბო კიბე ჰქონდა.

მაგრამ ლენინი ჯერ არ ჩანდა...

ტრიბუნასთან მაღალ ხის შტატივზე ძველი, დამტვრეული კინოაპარატი იდგა. კინოაპარატის ახლოს დადიოდა მაღალი კაცი, ცნობილი ოპერატორი ფედოტოვი, რომელსაც გრძელი და ვიწრო პალტო ეცვა. იგი დადიოდა და ვარაუდობდა, როგორი პლანით, რომელი ადგილიდან ეწარმოებინა ვლადიმერ ილიას ძის გადაღება. ოპერატორს ბევრი რამ ჰქონდა საფიქრებელი. მას ერთადერთი და უკანასკნელი ფირი ჰქონდა, რომელიც ინახებოდა მოსკოვის საბჭოს კინოგანყოფილებაში, როგორც ხელშეუხებელი ფონდი საგანგებო შემთხვევისათვის. და აი, ამ შემთხვევამაც მოაწია. გარდა ამისა, ოპერატორს არა ჰქონდა გრძელფოკუსიანი ობიექტივი, რის გამოც ლენინი ძალიან ახლო მანძილიდან, მეტრნახევარი — ორი მეტრიდან უნდა გადაეღო.

ფედოტოვმა წარმოიდგინა ლენინი, რომელიც დგას ტრიბუნაზე, გადმოიზომა ორი მეტრი და დადგა აპარატი.

ის-ის იყო ოპერატორმა მოასწრო ამის გაკეთება, რომ ვლადიმერ ილიას ძე გამოჩნდა და საჩქაროდ ავიდა ტრიბუნაზე. ოპერატორმა ხელი სტაცა აპარატს და სახელურის დატრიალება დაიწყო. მას ესმოდა წამოძახილები, რომლებიც გადადიოდა ერთი ბოლოდან მეორეში. კინოკამერაში გაჩნდა მკაფიო და ნათელი გამოსახულება ადამიანისა, რომელმაც კეპი მოიხადა და სწრაფად გადაიხარა მოხალისეებისაკენ.

— ამხანაგებო! — ხმამაღლა წარმოთქვა ვლადიმერ ილიას ძემ.

ფედოტოვი მიუჯდა აპარატს. მან თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ დაატრიალა სახელური, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ დროულად დაატრიალა.

— თქვენ იცით, — განაგრძობდა ლენინი, — რომ პოლონელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, რომლებსაც ანტანტა აქეზებს, თავს მოგვახვიეს ახალი ომი. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ პოლონელ გლეხებთან და მუშებთან ჩვენ არაფერი გვაქვს სადავო, პოლონეთის დამოუკიდებლობას და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ვცნობდით და ვცნობთ.

ლენინი ამბობდა, ფრონტზე მებრძოლთა მოქმედებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ისინი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის ჯარისკაცები არიან და პოლონელ ხალხთან ისე კი არ მიდიან როგორც დამპყრობლები, არამედ ისე, როგორც განმათავისუფლებლები.

ფედოტოვი იღებდა მხოლოდ ლენინის ყველაზე გამომეტყველ, დამახასიათებელ ჟესტებს, გადაღებებს შორის, შესვენებისას, უყურებდა ხალხს, რომელსაც მჭიდროდ შეევსო მოედანი და არჩევდა საერთო პლანებს, რომლებიც აუცილებელია ერთი კადრიდან მეორეზე გადასვლისათვის.

საჭირო იყო ზედა წერტილიდან გადაღებული პლანიც. ოპერატორი ავიდა ტრიბუნის რამდენიმე საფეხურზე და მოედანს გადახედა: „მეტროპოლიდან" მაღაზიების სვეტამდე, ტრიბუნიდან კიტაიგოროდის კედლამდე, ყველას მზერა ლენინისაკენ იყო მიპყრობილი.

როცა ვლადიმერ ილიას ძემ მარჯვენა ხელში კეპი მოიმწყვდია, მკვეთრად მოიქნია და ტრიბუნიდან ხალხისაკენ გადაიხარა, ფედოტოვმა კვლავ დაატრიალა სახელური და მოულოდ ახლა შენიშნა, რა უწყვეტად ჭრიალებდა მისი ძველი აპარატი. ოპერატორმა გაიფიქრა, რომ აი ახლა კი ლენინი უკმაყოფილოდ მიუბრუნდება მას...

პირველი, რაც ფედოტოვს სურდა გაეკეთებინა, გადაღების შეწყვეტა იყო. მაგრამ მან იცოდა, რომ მისი მოვალეობაა, — იდგეს აქ და იღებდეს. „ბოლო ის, რომ აპარატი ჭრიალებს, ჩემი ბრალი არაა: სხვა აპარატი არ არის".

შემდეგ მან გაიფიქრა, რომ ტრიბუნიდან ცოტა უკან დახეულიყო, მაშინ ჭრიალი და ხმაური ორატორს ასე ძლიერად აღარ შეუშლიდა ხელს. მაგრამ ამ შემთხვევაში მსხვილი პლანით ვერ გადაიღებს — დაიკარგება ლენინის სახის ცვალებადი გამომეტყველება.

„არა, არც გადაუღებლობა შეიძლება და, არც უკან დახევა. აქ უნდა იდგე და იღებდე!"

ფედოტოვიც იღებდა. ხელში აპარატი ეჭირა, ტუჩი იკვნიტა და განაგრძობდა გადაღებას.

„ეშმაკმა დალახვროს ეს წრიპინი!" — ილანძღებოდა თავისთვის და ეშინოდა ლენინს მისკენ არ მოეხედნა. მაგრამ ეს მაინც მოხდა. ვლადიმერ ილიას ძემ მისკენ მოიხედა. შემთხვევით მოხდა ეს თუ გაიგო, ოპერატორს მაინც მოეჩვენა, რომ მან უკმაყოფილოდ მოიხედა.

„ხელს ვუშლი"...

მაგრამ ფედოტოვს არც ტრიბუნიდან უკან დახევა შეეძლო და არც გადაღების შეწყვეტა. ოპერატორი განაგრძობდა გადაღებას, გაბრაზებით უჭერდა ხელს მოჭრიალე აპარატის სახელურს.

ლენინმა კვლავ შეხედა მას, და ისევ, როგორც ოპერატორს მოეჩვენა, უკმაყოფილოდ შეხედა. ფედოტოვი პაუზებს ელოდებოდა და განაგრძობდა გადაღებას. „რა ვქნა, რა ვიღონო — ამხნევებდა თავის თავს — ხომ უნდა გადავიღო."

ფედოტოვი უყურებდა ადამიანებს, რომლებიც ფრონტზე წასვლის წინ აქ მოსულიყვნენ და ლენინისაგან მათთვის აუცილებელ პირველ დარიგებას იღებდნენ. ვლადიმერ ილიას ძე სიმამაცის, სიმტკიცის, შეუპოვრობის განსახიერება იყო. „გავანადგუროთ საბჭოთა რესპუბლიკის მტრები! მოვსპოთ ისინი! ავაგდოთ ჩვენი მიწიდან!"

სწორედ ეს თვისებები — სიმტკიცე, შეუპოვრობა, შეურიგებლობა, — უნდოდა აღებეჭდა ფედოტოვს საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელის სახეზე. ეს იქნებოდა ბელადის ყველაზე ზუსტი პორტრეტი თანამედროვეებისათვისაც და შთამომავლობისთვისაც.

და ფედოტოვი განაგრძობდა თავის საქმეს. მაგრამ მოხდა ყველაზე საშინელი რამ, რისიც ასე ეშინოდა ოპერატორს: ფირი გაუთავდა. მან კიდევ რამდენჯერმე დაატრიალა სახელური. „ჰო, უკვე ტრიალია, დატრიალდება ადვილია, ცარიელი მექანიზმი უფრო მეტად ჭრიალებს... მორჩა!"

ფედოტოვმა ამოიოხრა და თავის დასამშვიდებლად დაასკვნა, რომ, ასე თუ ისე, მან მაინც მოიხადა თავისი მოვალეობა: გამოსვლის ყველაზე საინტერესო მომენტები გადაიღო. სწორედ ის გადაიღო, რის გადაღებაც უნდოდა; ხალხი ნახავს ლენინს — მკაცრს, ლენინს — შეუპოვარს, ლენინს — მტრებისადმი შეურიგებელს... აი, ისეთს, როგორიც მოხალისეებმა ნახეს.

მალე ვლადიმერ ილიას ძემ დაამთავრა თავისი სიტყვა და ფედოტოვმა თავი ბედნიერადაც კი იგრძნო: თუ რამე დარჩა გადაუღებელი, ეს მხოლოდ უმნიშვნელოა, სულ ერთი ბეწო!

ტაშის გრიალში, „ინტერნაციონალის" მძლავრ ხმებში ვლადიმერ ილიას ძე ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ოპერატორისაკენ გაემართა.

„აჰაა, — გაიფიქრა სულგანაბულმა ოპერატორმა, — ახლა კი მომხვდება"...

ფედოტოვს რომ გაუსწორდა, ლენინმა კინოაპარატს შეხედა და ოპერატორს გაუღიმა. მან მოიკრიბა ვაჟკაცობა და უთხრა:

— მაპატიეთ, ვლადიმერ ილიას ძევ... ლაპარაკში ხელს გიშლიდით... მართლაცდა, ძალიან ძველი კამერაა...

ლენინი გაჩერდა, მოუსმინა, თავი ოდნავ დახარა.

— არაფერია, არაფერი... ნუ ღელავთ, — თქვა მან. — ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს...

ვლადიმერ ილიას ძემ გაუღიმა ფედოტოვს, სიტყვები დინჯად დაამარცვლა:

— ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს! — გაიმეორა და წავიდა.

ოპერატორისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ლენინი კვლავ შეჩერდა. რაღაც შენიშნა. ფედოტოვი დაინტერესდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სამიოდე წლის გოგონა დაინახა. გოგონას გადაღეღილი პალტოდან გამოჩენილი, ძველი კაბა მოუჩანდა. ეტყობოდა, ოდესღაც ის ცოცხალი ყვავილებით იყო მოქარგული. ოქროსფერი თმა ორივე მხარეს საგულდაგულოდ ჰქონდა გადავარცხნილი. არც თუ ისე სუფთა მუშტი პირთან მოეღერებინა. გოგონა ყველა გამვლელს ერთნაირი ყურადღებით აკვირდებოდა. შეხედა სამხედროს, პიჯაკიან ჭაბუკს, როცა ლენინმა გაიარა გვერდით, მასაც შეხედა.

ვლადიმერ ილიას ძე გოგონასაკენ დაიხარა და რბილ, ოქროსფერ თმაზე ხელი გადაუსვა.

ფედოტოვმა ის-ის იყო შენიშნა, როგორ მიიწია ლენინი გოგონასთან, უნდოდა ხელი ეტაცა აპარატისათვის, თითქოს დაავიწყდა, რომ არცერთი მეტრი ფირი არა ჰქონდა...

გოგონა, რომელიც პირიდან მუშტს არ იშორებდა, თვალებს სულ აქეთ-იქით აცეცებდა. ახლა კი, როცა ლენინი მოეფერა, მზერა მასზე გადაიტანა. ლენინის სახე რომ დაინახა, პატარამ კეთილად გაუღიმა. ვლადიმერ ილიას ძემაც გაუღიმა. გოგონამ ჩუმად გაიცინა. პირიდან ხელი მოიშორა, მუშტი გახსნა და ვლადიმერ ილიას ძის პიჯაკის ღილს შეეხო. მან კვლავ გადაუსვა ხელი გოგონას თავზე, ისევ გაუღიმა და სწრაფად წავიდა.

— ეჰ, — ამოიოხრა ფედოტოვმა და განაწყენებულმა მუშტიც კი მოიღერა. — მე კი მეგონა, რომ შევასრულე ჩემი მოვალეობა! „მრისხანე, შეუპოვარი, მკაცრი". — დასცინოდა საკუთარ თავს და იმეორებდა თავის სიტყვებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ, თითქოსდა, ესოდენ ამომწურავად გამოხატავდა ლენინის სახეს.

— ეს სადღა არის? სად?

რუსულიდან თარგმნეს:
დ. შენგელიამ და ბ. მეტრეველმა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მწერალთა კავშირში

20 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანმა ნოდარ გურეშიძემ.

მოხსენება — „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი" — წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორმა იოსებ ნონეშვილმა.

დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები წაიკითხეს პოეტებმა ალიო მირცხულავამ, მარიკა ბარათაშვილმა, კალე ბობოხიძემ, ალექსანდრე შანიძემ და აკაკი გეწაძემ.

„დიდ ლენინს ქართველი მწერლებისაგან"

ეს წარწერა ამშვენებდა ცოცხალი ყვავილების გვირგვინს, რომლითაც გუშინ ჩვენი დედაქალაქის ცენტრში აღმართული დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი შეამკეს ქართველმა მწერლებმა ალიო მირცხულავამ, სერგო ჭილაიამ, ბესარიონ ჟღენტმა, იოსებ ნონეშვილმა, შალვა აფხაიძემ, ლავრენტი კალანდაძემ, ალეკო შენგელიამ, როდიონ ქორქიამ, გუგული ბუხნიკაშვილმა, ნოდარ გურეშიძემ, დავით თაქთაქიშვილმა, შალვა ფორჩხიძემ, ოთარ ჩიჯავაძემ, არჩილ სულაკაურმა, გოგი გოგიჩაიშვილმა და რევაზ კვერენჩხილაძემ.

ჩვენი ქართული

დემნა შენგელაია

ცოტახანი როდი გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენი მეცნიერები ასე თავგამოდებით ეჭიდებიან ქართულ ენას. ლამის ოცი წელია ეს ცდა გრძელდება, თითქმის ოცი წელია, რაც ისინი ჩვენი ქართულის ყოველი ლექსის ძირსა და ფუძეს ეძებენ, თხრიან და ეს ამდენი კვლევა-ძიება, რუდუნება და ოფლის ღვრა ბოლოს აი გამარჯვებითაც დასრულდა. შარშან 1964 წლის მიწურულში ჩვენმა სამეცნიერო აკადემიამ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული უკანასკნელი ტომის გამოსვლით დააგვირგვინა.

ტრადიციული წინასიტყვაობა, ლექსიკონის ხმარების წესი და, რაც მთავარია, მისი საერთო რედაქტორის, პროფ. არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ ამ ვეება შრომის დედააზრსა და სახელმძღვანელო პრინციპებს წინასწარვე დაწვრილებით გვაცნობენ.

კითხულობ, ფურცლავ, ხედავ, ამოწმებ ყოველ ტომს და გიხარია, რომ ქართული ენის ამოდენა ზღვა შენ თვალწინ ასე გადაშლილა. მისდევ ვრცლად-ვრცლად სიტყვათა დაუსრულებელ ქარავანს, მიჰყვები წიგნის ძირითად კონცეფციას და მის მომხიბვლავ დინებას ბოლო არ უჩანს. მერე შედგები, უკან იცქირები და, არა ხედავ, რა თვალუწვდენი მანძილია თურმე გავლილი ქართული ენის კვლევის საქმეში ამისთვის, ვისაც გრამატიკა ჯერ კიდევ ხალხური ბუნების მიხედვით უსწავლია, უსწავლია იმ დროს, როცა ქართული ენა სხვა ენათა თარგის მიხედვით ისწავლებოდა. და ახლა, როცა ქართული ენის ამ ზოგად დახასიათებას კითხულობ, არ შეიძლება, ქართული წინადადების ასეთმა ღრმა ანალიზმა, სახელისა და, განსაკუთრებით, ქართული ენის სიამაყის, ზმნის სტრუქტურაში ძირით ძირობამდე ჩაღრმავებამ და მრავალ მორფოლოგიური საკითხების ახლებურად დაყენებამ უნებლიეთ არ ჩაგითრიოს. არ შეიძლება ამა თუ იმ სიტყვის ან ფორმის უეცარმა მოტრიალებამ, მისმა ადგილმა ფრაზაში, ინტონაციამ, ჟღერამ და, წარმოიდგინეთ, თითქოს ფერმაც კი რომ არ შეგაკრთოს. მით უფრო მაშინ, თუ სიტყვა შენი სტიქიაა და მის გარეშე სიცოცხლე არ შეგიძლია.

მართალია, პირიან ზმნათა სიუხვე და, პირიქით, ეგრეთწოდებულ „იხილეების“ სიძუნწე, ცოტა არ იყოს, [illegible], მაგრამ პრინციპი პრინციპია და ჩვენც დავა არა გვაქვს, რადგან ბუნებაში ამ ყაიდის ლექსიკონებიც არსებობს და მათთვისაც ეს ნაკლი ბუნებრივია. „იხილეების“ ეს უარყოფა ძალაუნებურად აღარიბებს სინონიმიკას და ზოგი სიტყვა ამ ნაპირებმადლებულ ზღვაში ისე იკარგება, რომ ეს ამოდენა ლექსიკონი თუ თავიდან ბოლომდე არ გადაიკითხე, საჭირო სიტყვას ისე ვერ იპოვი.

განა არა ვიცით, — ვიცით, კარგად ვიცით, რომ ჩვენ არა ვართ ლექსიკოლოგი, არც ენათმეცნიერი, მაგრამ ერთი ჩვეულებრივი პრაქტიკოსი და დაუცადებელი მსხრეკელ-მომხმარებელი ლექსიკონის მაინც ვართ. ისიც ვიცით, რა ძნელზე ძნელი საქმეა ასეთი შრომა და, რაც მთავარია, სიტყვათა რაციონალურად დალაგება. ამ სიძნელეებს თუნდაც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ ამას წინათ გამოცემული რუსული განმარტებითი ლექსიკონის მრავალტომეულიც ადასტურებს. სამი ტომის გამოსვლის შემდეგ მისმა ფრიად კომპეტენტურმა რედაქციამ ბეჭდვის პროცესში აიღო ხელი ამ ეგრეთწოდებულ ბუდობრივ პრინციპზე, მომდევნო ტომები სულ სხვა პრინციპის მიხედვით დაბეჭდა და მით ეს შრომა არაპროპორციულად აჭრელდა.

სასიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ აქვე ჩვენი ახალი ლექსიკონის საილუსტრაციო მასალების სიუხვეც. მაგრამ მაინც, ხალხური თქმები, იდიომები, ანდაზები და სხარტულები უფრო ჭარბად რომ ყოფილიყო მოტანილი, ეს ისედაც ჩინებული შრომა ბევრს მოიგებდა. ვისარგებლებთ შემთხვევით და ვიტყვით, ეს შრომა, სამწუხაროდ, არც თუ სრულია. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირველივე ტომის პირველივე ასოს დასაწყისში სიტყვა „ავი“, რა თქმა უნდა, შემთხვევით, მაგრამ როგორღაც მაინც გამორჩენილა.

ლექსიკონის დიდი ღირსებაც ის არის, რომ ის [illegible] მოულოდნელად ჩამოყალიბებული [illegible] რამ ქმნილება კი არ არის, დიდი სულხან-საბა ორბელიანის გენიალური „სიტყვის კონისა“ და ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის სახით საამაყო წინაპარი ჰყავს და სახელოვან ტრადიციასაც ამ მხრივ ღირსეულად განაგრძობს.

400 სანტიმეტრი თაბახი და ყოველ თაბახში განმარტებული სამასი სიტყვა. ამ სიტყვათა გენეზისი და ანალიზი, სემანტიკა და სათანადო დოკუმენტაცია ხუმრობა, საქმე ხომ არ არის. უბრალო, სულ უბრალო არითმეტიკული შეჯამებაა საჭირო, რომ ასათი-ასოციათასი სიტყვა მაინც მივიღოთ.

თითქმის ყველა სიტყვა, დღეს ჩვენს ქართულში რომ იხმარება, ამ ტომებშია მოქცეული. ქართული სიტყვის იმ ამოუწურავ მარაგს, ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა და პრესა დღეს რომ იყენებს, ამ ვეება ლექსიკონშია დამკვიდრებული. თითქმისთ, აქ იმიტომ ვამბობთ, რომ ყველამ იცის, ცოცხალი, მოძრავი ენის მთლიანად მოცვა მისი მუდმივი ქცევადობისა და ცვალებადობისა გამო რა ძნელია და თითქმის შეუძლებელიც არის.

ჯერ კიდევ ფარნავაზ მეფის მემატიანე განასხვავებს „ენას ქართულს“ ქართულ მწიგნობრობისაგან, ესე იგი, უძველეს დროსვე განასხვავებდნენ ზეპირმეტყველებას წერისაგან. ჩვენი ეს ლექსიკონიც განაგრძობს ამ ტრადიციას და ისიც ამ ორი საწყისისაგან შედგება. ჩვენი დიდებული ქართული თავისი ძველი და ახალ მწიგნობრულ ენით, ცოცხალი დიალექტებითა და, ასე ვთქვათ, საკანცელარიო-სახელმწიფო მეტყველებითაც განა ნამდვილი ზღვა არ არის? განა ამ უზარმაზარი ლექსიკონის მთავარი რედაქციის სურვილი: „ხელშესახები გახადოს (თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაბრაზებს ეს ულაზათო „გახადოს“, ამ ბოლოხანს რომ ასე გავრცელდა), როგორ გამდიდრდა ქართული ენის ლექსიკა საბჭოთა პერიოდში და რა წყაროები გააჩნია მას შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის“, განა სისრულეში არ არის მოყვანილი?

ნურას უკაცრავად და, ამგვარ ლექსიკონს ზოგიერთი დიდი ერიც ვერ დაიკვეხნის. ასეთი მდიდარი და თან სრული ლექსიკონის შექმნა და მისი ასე სრულყოფილად გამოცემა მხოლოდ აღორძინების გზაზე დამდგარ დიდი ხვედრითი წონის კულტურისა, ისტორიისა და პოტენციის მქონე ერს შეუძლია.

აკი კიდევაც იმიტომ მოაქვს თავი ასე ჩვენს ხალხს ამ ლექსიკონით. მაგრამ ქართველი მწერლის სიხარული მაინც სხვა სიხარულია. ეს სიხარული განსხვავებული თუნდაც იმიტომ არის, რომ სიტყვა მისთვის მხოლოდ ცნება ან საკომუნიკაციო საშუალება კი არ არის, არც ლოგიკური კატეგორია და არც ფრაზის რიგის ენობრივი ერთეული, — იგი სახე, ხატია, ლოგოსია და შემოქმედს მართლა სჯერა, რომ „პირველითგან იყო სიტყვა“. მაშ რათ ხდება, რომ შთანთქოს იგი ხმოვან წინ უსწრებს, ფრაზას ფრთას ასხამს და ერთმანეთს სახედ აქცევს, სურნელს დაუვებს? თუ ერთი სიტყვა ცნებას მოლიანად ამოწურავს, ე. ი. მეტად ის არის, მეორე სიტყვა, პირიქით, თავის თავზე მეტია და გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ის ერთის შეხედვით შეცავს. იტყვი მას და კიდევ რჩება რაღაც უთქმელი. მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ. როდესაც მდარე მწერალი ამბობს: „ერთი მელა აქეთ-იქით დარბოდა“, რა თქმა უნდა, ფრაზა სწორია, მაგრამ ინერტული და უსიცოცხლოა. მაგრამ აი მოვა ჩვენი დიდი საბა და იტყვის: „ერთი მელი დაცუნცულებდა“, და [illegible] ჩვენ თვალწინ უცებ გაცოცხლდება. მაგრამ საქმე მუდამ ასე როდია. ზოგჯერ ყველა სიტყვა ტლანქია, უტაქტო და თავისი უხეში ხმოვანებით არღვევს შექმნილ იდუმალებას. არღვევს, რადგან ხანდახან პაუზა ფრაზაზე მეტყველია და სიტყვაზე მეტს ამბობს ბოლომდე. ამიტომ კვნესის გალაკტიონის სტრიქონი ასეთი ტკივილით:

> არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა,
> როდესაც სიტყვა დაიბადება,
> სიმართლის ალი, როგორც ბურუსი,
> ისე ირღვევა და იფანტება...

პაოლო იაშვილი კი, პირიქით, სიტყვას უსაზღვროდ ენდობოდა, მის იქით მისთვის უდაბნო იყო, სიკვდილი იყო და, როცა პოეტური სიტყვა ჯიბრით ჭიდებოდა, დაჭრილ ხარირემივით ღმუოდა.

[illegible] სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი...

ჯერ კიდევ პოეტმა გუმილიოვმა აღნიშნა სიტყვა „ვარდის“ მრავალი მნიშვნელობა. თანამედროვე, რაციონალისტურ ეპოქის პოეტისთვის ის ხომ მართლაც ყვავილია და სხვა არაფერი. [illegible] მგოსნებისათვის ის სიტყვა, — ლოცვაა, ვნებაა, შირინია... საშუალო საუკუნეების გოტიკურ პოეზიაში ის ჯვარცმულია. რუსთაველისთვის — მზეთუნახავის სახეა. კ. ბალმონტი კი ესპანურიდან თარგმნილ ხალხური ლექსების შენიშვნაში გვაუწყებს, რომ ესპანელს თუ ლამაზი ქალის დაცინვა უნდა, ვარდს შეადარებსო.

სიტყვის ასეთი ქცევადობის გამო ამბობდა ტეოფილ გოტიე, რომ ყველაზე საინტერესო წიგნი საკითხავად ლექსიკონიაო. როგორც ჩანს, ჩვენი [illegible] ამ დასკვნამდე თავის ფრანგ თანამოძმეზე გაცილებით ადრე მისულა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი რომ თავიდან ბოლომდე ზეპირად სცოდნია.

ზემოთ ვამბობდით და ახლა ისევ გავიმეორებთ, რომ დიდ ისტორიულ მოვლენათა თანხვედრილობებს ჰქონდა ადგილი ჩვენს წელთაღრიცხვამდელ მესამე საუკუნეში. ჯერ იყო და ალექსანდრე მაკედონელის ეგრეთწოდებულ „გამოლაშქრების“ საქართველოზე მატიანის სტრიქონებს შორის ნათლად იგრძნობა, რა შედეგებიც მოჰყოლია ამ ლაშქრობას საქართველოზე: დარიოს კოდომანის მონათმფლობელურ-პატრიარქალურ იმპერიის განადგურება. განადგურება იმ ტირანული იმპერიისა, რომლის ერთ-ერთ სატრაპიაში საქართველოც შედიოდა. ხოლო საქართველოს განთავისუფლება და ფარნავაზ მეფის აღზევება მცხეთაში. სავაჭრო გზამ ხალხებისა და ქართლის ეკონომიურ-პოლიტიკურმა აღორძინებამ „განავრცო ენა ქართული“ და „შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ესე იგი განავრცო სახელმწიფოს გავლენა და შექმნა დამწერლობა.

ჩვენ ვერ ავუვლით ზოგიერთი პროფესორის საეჭვო თეორიებს, თუ რომანტიკური ახალი მიმდინარეობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც იტალია იყო, ჯერ კომუნის დაშლა იყო საჭირო და მერე მის ნანგრევებზე სინიორიის დამყარება, ეს ახალი მოქალაქეობრიობა ერთბაშად როდი გაჩნდა. დანტეს, ბოკაჩიოს და პეტრარკას [illegible] ჯერ კიდევ მაშინ იქმნებოდა, როცა (1300 წ.) [illegible] რის შემდეგ არაბ მეცნიერებს [illegible] ცნობისმოყვარე ყოფილა ჩვენი დავით აღმაშენებელიც, რომელიც ლაშქრობის დროსაც ვერ ელეოდა თავის მდიდარ ბიბლიოთეკას. მან გააერთიანა საქართველო, მან დაიმორჩილა ერისთავები, მან დაუბრუნა ქართველ ხალხს მისი ვაჭრულ-ხელოსნური თბილისი და გაბედულად გაატარა ფულის რეფორმა. ხოლო მისმა შვილიშვილმა ფიზიკურად მოსპო განდიდებულ-გალაღებული დიდებულების ერთი ნაწილი და წინ წამოსწია მისი ერთგული უგვაროები, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა აბსოლუტიზმი. თუ ენის ხალხურობა ერთი ნიშანთაგანია ჰუმანიზმისა, მაშინ რუსთაველის ბრწყინვალე ენის ჩანასახს ერთი საუკუნით ადრე მაინც უნდა ვეძებდეთ; და თუ სწორია იური მარის მოსაზრება, რომ ხაყანის „მოი, მოი!“ დასავლურ ქართული „მოდი, მოდი!“-ა, მაშინ ცოტა სხვანაირად გავიგებთ ჩვენი ქართული, პეტრიწის და შოთას ენის არა მხოლოდ იდეურად, ენობრივადაც [illegible] ერთიმეორეს. ჩვენს [illegible] ეს ლექსიკონი, ამ პოზიციით არის ის პროგრესული და ამიტომაც არ გვაინტერესებს ის მაგალითები, რომელთა მოტანაც აქ შეიძლება. ეს მართლაც ლაფის წუწნა იქნებოდა, თუ მტერს ხმალი არა.

ჩვენი ლექსიკონის ის ახალი ენაც, რვატომეულის სახით რომ გვიდევს წინ, რუსთაველიდან მოდის და იგი პრინციპული წიგნია. მით უფრო მაშინ, როცა ზოგი მწერალი თავისი მდარე [illegible] ამ ძველს ისევ ებრძვის.

ხალხურობა, აი ამ ლექსიკონის ნამდვილი სული და, როცა ქართული დიალექტები ამ ახალი ენის რეზერვად არის მიჩნეული, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ილიას, აკაკის და ვაჟას პოზიციებზე ვდგავართ ენის საკითხში და ამ პოზიციაზე დგას ჩვენი ეს დიდი ლექსიკონიც.

1
2
3
4
5
6
7
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
VIII

გასრულდა დიდი საქმე

რევაზ თვარაძე

გასრულდა დიდი, საშვილიშვილო საქმე — გამოიცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის უკანასკნელი, მერვე ტომი.

მკითხველებს კარგად ეხსომებათ, რამდენ დიდი სიხარული მოგვანიჭა განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომის გამოსვლამ წიგნის მაღაზიებში ამ თხუთმეტი წლის წინ, ათას ცხრაას ორმოცდაათში.

ისიც გავიხსენოთ, როგორ იქმნებოდა ეს მონუმენტური ნაშრომი.

1945 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია, რომელშიც შევიდნენ: გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სიმონ [illegible], ვარლამ თოფურია, თამარ ლომოური, სტეფანე მენთეშაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი და სიმონ ჯანაშია.

1949 წლის ოქტომბერში შექმნილი ლექსიკონის მთავარი რედაქცია თავდაპირველად 7 წევრს აერთიანებდა, საბოლოოდ კი 15 წევრამდე მივიდა: გიორგი ახვლედიანი, ივანე გიგინეიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, [illegible], სიმონ [illegible], ვარლამ თოფურია, ნიკოლოზ კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ლეონიძე, ქეთევან ლომთათიძე, თამარ ლომოური, სტეფანე მენთეშაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, არნოლდ ჩიქობავა და გიორგი წერეთელი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორია არნოლდ ჩიქობავა.

კომისია და მთავარი რედაქცია ხელმძღვანელობდნენ განმარტებითი ლექსიკონის შესაქმნელად გაწეულ მუშაობას.

როგორც ხედავთ, ამ დიდი საქმის მესვეურობა მიენდოთ გამოჩენილ მეცნიერებს, ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს.

ლექსიკონის შედგენას საფუძვლად დაედო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები“, რომლის პროექტიც დაამუშავა პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ და რომელიც კომისიამ დეტალურად განიხილა და მიიღო 1945 წელსვე.

უშუალოდ ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1936-1941 წლებში შედგენილი სიტყვანის განხილვით. ამ სიტყვანიდან ლექსიკონში შესატანად შეირჩა 65 ათასი სიტყვა. ამავე დროს, 1945-1948 წლებში სიტყვანი შეივსო ზმნური ლექსიკური ერთეულებით.

ამის შემდეგ საჭირო იყო სიტყვათა განმარტება და სადოკუმენტაციო ფონდის შექმნა — საილუსტრაციო გამოთქმათა ამოწერა მხატვრული, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურიდან. რამდენ შრომატევადი იყო ეს სამუშაო, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ სიტყვათა განმარტებაში ჩაბმული იყო 35 სპეციალისტი, ხოლო საილუსტრაციო ამონაწერებმა მილიონ ექვსასი ათასი საკარტოთეკო ბარათი შეადგინა.

განმარტებული მასალის განხილვაზე ექვსი სარედაქციო კომისია მუშაობდა. ენათმეცნიერთა გარდა ამ საქმეში ჩაბმული იყვნენ მწერლებიც (თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ილია ზურაბიშვილი).

დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ ორმოცამდე ენათმეცნიერი, რომლებიც განმარტებულ მასალას სადოკუმენტაციო ფონდებს უდარებდნენ, ამ მასალას კითხულობდნენ, რეცენზიებს წერდნენ, ტექსტის რედაქტირებასა და სასტამბოდ მომზადებაზე მუშაობდნენ და ა. შ. აგრეთვე სპეციალურ ტერმინთა განსამარტავად თუ საკონსულტაციოდ მოწვეული ორმოცამდე გამოჩენილი სპეციალისტი.

პირველი ტომის (როგორც უკვე ითქვა, 1950 წელს გამოიცა) რედაქტორია პროფესორი არნოლდ ჩიქობავა, მეორე ტომისა (1951) — პროფესორი გიორგი წერეთელი, მესამის (1953) — პროფესორი ვარლამ თოფურია, მეოთხის (1955) — პროფესორი არნოლდ ჩიქობავა და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მიხეილ ჭაბაშვილი, მეხუთის (1958) — დოცენტი სიმონ [illegible] და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი [illegible] კახაძე, მეექვსის (1960) — პროფესორი თინათინ შარაძენიძე და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი [illegible], მეშვიდის (1962) — პროფესორი ქეთევან ლომთათიძე, დოცენტი სტეფანე მენთეშაშვილი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი პოლიევქტ გაჩეჩილაძე, მერვისა (1964) — დოცენტი ივანე გიგინეიშვილი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბიძინა ფოჩხუა.

ჩვენი საზოგადოების საერთო აზრს გამოვხატავ ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ლექსიკონის შესაქმნელად გაწეულ მუშაობაში ჩაბმულ მრავალრიცხოვან კოლექტივს, მის თითოეულ წევრს მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ყველა, ვისაც კი რაიმე აკავშირებს ქართულ სიტყვასთან.

სულ ლექსიკონი შეიცავს ას ცამეტ ათასამდე (112949) სიტყვას.

* * *

განუზომლად დიდია განმარტებითი ლექსიკონის მნიშვნელობა ქართული ენის, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, ენა ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ერისა, ენის სიმდიდრე, მრავალფეროვნება, დახვეწილობა ენის ძალმოსილებასაც მოასწავებს. ხოლო ენის სიმდიდრისა და უხვდობისათვის გარკვევა ერთობ ძნელია, თუკი არ არსებობს ამ ენის ლექსიკური მარაგის და მისი ბუნების ასეთი სრულად ამსახველი ლექსიკონი.

თავის დროზე სულხან-საბა ორბელიანი წერდა: „... ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა ენანი ქმნილიყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისსა ნებაზედ გაერყვნათ...“

ქართული კულტურის განვითარების დღევანდელი დონე ვერასგზით ვერ შეიწყნარებდა „თვისსა ნებაზედ გაერყვნათ“ ჩვენი ენა სხვათა და სხვათა. აუცილებელი იყო მეცნიერების თანადროული მოთხოვნების შესატყვისად დამუშავებული, მკაცრად დადგენილი პრინციპების მიხედვით გამართული, ჩვენი ფასდაუდებელი ეროვნული საუნჯის თავის მომცველი და გამომამზეურებელი ნაშრომი, რომლითაც, სპეციალისტების გარდა, როგორი მკითხველიც თავისუფლად ისარგებლებდა.

ასეთი ნაშრომი შეიქმნა.

იმ პრინციპთაგან, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონს, ყურადღებას საგანგებოდ გვამახვილებს ზმნური ლექსიკური ერთეულების ლექსიკონში შეტანის საკითხზე.

ევროპული ენების ლექსიკონებს შეჩვეული მკითხველი (მით უმეტეს ისეთი, ვისაც სპეციალურად არ დაუკავშირებია ხაზი „სიტყვის კონისა“) შესაძლოა შეცბუნდეს, როდესაც გადაშლის განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომს და პირველსავე გვერდზე პირველ სიტყვად ამოიკითხავს: აბაბანებს. ამას მოსდევს: აბაკუნებს, აბამს, აბარგებს, აბარგვინებს, აბდღვრიალებს და ასე შემდეგ. ევროპული ენების ლექსიკონებს შეჩვეული მკითხველი ამ ლექსიკური ერთეულების ნაცვლად, ცხადია, მოელოდებოდა ამგვარ ფორმებს: აბანება, აბაკუნება, აბმა, აბარგება და სხვა...

რამ განაპირობა პირიანი ფორმების ლექსიკონში შეტანა, რატომ განმარტებით ლექსიკონში, ტრადიციისამებრ, მხოლოდ ნაზმნარი არსებითი სახელი არაა მიჩნეული ლექსიკურ ერთეულად?

ამ კითხვის პასუხს ვპოულობთ განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომის ქართულ წინასიტყვაობაში:

„ქართული ენის ბურჯი ზმნაა და არა სახელი: გამომხატველობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინ დგას სახელზე. ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია. ზმნას შეუძლია წარმოგვიდგინოს მოქმედება: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლინება: ითესება და თესავს; როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან — აქტიური, პასიური): ითესავს და უთესავს, ეთესება; როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვის მეშვეობით შესრულებული: თესავს და ათესვინებს; როგორც მდგომარეობა, სტატიკური ყოფნა: თესია (ე. ი. დათესილია; კუთვნილების აღნიშვნით: უთესია), და როგორც პროცესი, დინამიკა: ითესება, ითესებოდა და სხვ. ქართული ზმნის ეს სიმდიდრე ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად ნაზმნარი არსებითი სახელი (მასდარი) გვქონდა: მაგალითად, თესვა არ განასხვავებს არც მოქმედებითსა და არც ვნებითს, არც სუბიექტისა და არც ობიექტის კუთვნილებას, არც მდგომარეობის აღმნიშვნელ (სტატიკურ) წარმოებას“.

როგორც წინასიტყვაობიდანვე ჩანს, ამგვარ პრინციპს ყველა ქართველი ენათმეცნიერი თუ ლექსიკოგრაფი როდი იზიარებს. საკითხი სადავო ყოფილა. და არაერთი არ იქნება გამართლებული, ენათმეცნიერთა და ლექსიკოგრაფთა შეხედულებაში არასპეციალისტიც ჩაება და მსჯელობა პრინციპულ საკითხთა გადაჭრას შეეცადოს ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ.

მაგრამ კატეგორიულად არავინ უნდა მიიჩნიოს, თუ არასპეციალისტი მკითხველიც იტყვის: რამდენადაც ქართული ენის ბუნების ასეთი თუ ისეთი ცოდნა და აგრეთვე საკუთარი ალღო უფლებას მაძლევს, შემიძლია დავასკვნა, რომ განმარტებითი ლექსიკონის კომისიის მიერ აღიარებული პრინციპი უფრო მართებულია.

მართლაც, ზმნური ლექსიკური ერთეულების შეტანა ლექსიკონს ძალზე ამდიდრებს და მკითხველისათვის მოსახერხებლად სახმარს ხდის.

საერთოდ, ლექსიკონი ერთობ იოლი გამოსაყენებელია. თვით არასპეციალისტს და ნაკლებ წიგნიერ ადამიანსაც კი არ გაუჭირდება სათანადო სიტყვის თუ მასთან დაკავშირებული სხვა სიტყვების მიკვლევა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დოკუმენტირებულია — სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა დამოწმებულია სათანადო ილუსტრაციებით.

მე აღარ გამოვუდგები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სხვა ღირსებათა აღნუსხვას. ამ მხრივ ლექსიკონი გამოწვლილვით, ამომწურავად მიმოიხილეს დოცენტმა ფარნაოზ ერთელიშვილმა და მწერალმა ლევან გოთუამ (იხილეთ გაზეთი „კომუნისტი“, 1965 წლის 13 თებერვლისა და 1 აპრილის ნომრები).

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ, რაკი ასეთ დიდ საქმეს თავი მოება, მკითხველნი მოველოდებით, რომ ამ საქმის მესვეურნი დიდხანს აღარ დაისვენებენ და, დაპირებისამებრ, მოგვაწვდიან ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონსაც.

ამთავითვე გვმართებს ვიფიქროთ აგრეთვე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის განმეორებით გამოცემაზე — შევსებული, შესწორებული და უფრო დახვეწილი სახით.

ამის აუცილებლობას ორი რამ განაპირობებს:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ფაქტიურად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა უკვე: დაინტერესებული პირი ამ გამოცემის უკანასკნელ ორ ტომს თუ იშოვნის თავისუფლად. დანარჩენი ტომები ალალბედზეა საძებნი. ზედმეტია იმის თქმა, რომ ლექსიკონის მთლიან კომპლექტს — რვავე ტომს ერთად — საერთოდ ვეღარსად წააწყდებით საყიდლად.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ეს გამოცემა დაზღვეული არაა (არც შეიძლება იყოს!) ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან.

* * *

რაკი უკანასკნელ საკითხზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩემს თავს უფლებას მივცემ, ლექსიკონის ზოგიერთი ნაკლი და ხარვეზი აქვე აღვნიშნო. ეჭვი არაა, ლექსიკონის მესვეურნი ჩემს შენიშვნებს შეიწყნარებენ, თუკი, რა თქმა უნდა, მართებულად მიიჩნევენ ისინი. რაც შეეხება გულისწყრომას, ამ არასასურველი მოვლენისაგან თავისთავად უნდა ვიყო დაზღვეული: როგორც მკითხველისა და მიმკვლევარ სპეციალისტის შენიშვნები ადგილი [illegible] (ისიც უნდა დავძინოთ, რომ ლექსიკონს, ცხადია, სხვა ნაკლიც და ხარვეზიც აქვს აღნიშნულის გარდა. ამ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს სხვებზე უკეთ, ალბათ, მისი შემდგენელი კოლექტივი ხედავს და დაინახავს, მით უმეტეს ახლა, როდესაც საქმე უკვე გასრულდა და უფრო ადვილია ყოველივე ზოგადად მიმოიხილოს, ცალკეულმა წვრილმანებმა აღარ შეაფერხოს მზერა).

აი ჩემი შენიშვნები.

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში მრავლად გვხვდება სხვისი მეშვეობით შესრულებული მოქმედების გამომხატველი ზმნები (კაუზატივი): აბზეკინებს, აგდებინებს, გააგანიერებინებს და სხვა...

როგორც უკვე ითქვა, ამგვარი ფორმების შეტანა ლექსიკონში მისასალმებელია: ისინი ქართული ზმნის სიმდიდრეს მეტყველებს. თუ გვაქვს აბზეკს, იქვე უნდა იყოს მისი კაუზატივიც — აბზეკინებს. გვაქვს აგდებს და მისი კაუზატივი — აგდებინებს, ასევე: [illegible], გააგანიერებს — გააგანიერებინებს...

მაგრამ ირკვევა, რომ აგრეთვე მრავალი ზმნა კაუზატივის გარეშეა წარმოდგენილი. არის აბრძანებს, არაა აბრძანებინებს, არის აბრჭყვიალებს, არაა აბრჭყვიალებინებს, არის აამეტყველებს, არაა აამეტყველებინებს; ასევე არაა სათანადო ზმნების პარალელური: აამოქმედებინებს, აამტვერებინებს, აამტუტებინებს, აამღერებინებს, გააბრწყინებინებს, გააბუროთავებინებს, გააკულტურებინებს, გაამარტივებინებს და მრავალი სხვა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ არაა ლექსიკონში შეტანილი ეს (და სხვა ამგვარი) ზმნები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე უნდა გავითვალისწინოთ ორი რამ.

ჯერ ერთი, როგორც ლექსიკონის წინასიტყვა გვამცნობს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, — ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში“.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ლექსიკონის მთავარი რედაქცია წინასიტყვაობაშივე გვაუწყებს: „თქმა არ უნდა, ზმნურ ლექსიკურ ერთეულთა სრულად ჩვენებას ამჟამად ჩვენ ვერ შევძლებთ, ძირითადი-კი გამოვლენილია“.

მაშასადამე, ხსენებული (და მსგავსი) ზმნების ლექსიკონში შეუტანლობა ან იმითაა გამოწვეული, რომ ეს ზმნები წიგნის მეტყველებაში, წერილობით წყაროებში არ გვხვდება, ან კიდევ იმით, რომ რედაქცია ლექსიკონის მოცულობის გაზრდას მორიდებია.

თუ პირველ მიზეზთან გვაქვს საქმე, აქ, ჩემის აზრით, ზოგი რამ დასაზუსტებელია (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის — მკითხველებისთვის; თავად შემდგენლებს ლექსიკონისა, საერთოდ, ენათმეცნიერებსა და ლექსიკოგრაფებს, უნდა ვიფიქროთ, უეჭველად მშვენივრად აქვთ გარკვეული ის, რის შესახებაც ქვემოთ მექნება მსჯელობა).

[illegible], რომ ზმნამ მოქმედება შეიძლება წარმოგვიდგინოს: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლენა; როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან — აქტიური, პასიური); როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვის მეშვეობით შესრულებული; როგორც მდგომარეობა, სტატიკური და როგორც პროცესი, დინამიკა. თუ ავიღებთ მაგალითად ზმნას თესავს, მითითებული ნიმუშების საფუძველზე ლექსიკონში ადგილი უნდა დაიმკვიდროს შემდეგმა ერთეულებმა: თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია.

მართლაც, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ყველა ეს ზმნა სახეზეა. ამასთან, ყველა მათგანი დოკუმენტირებულია — განმარტებას ახლავს საილუსტრაციო მასალა, რაც მოწმობს, რომ ეს ერთეულები წიგნის მეტყველებას მოეპოვება.

ახლა ვიკითხოთ: როგორ მოვიქცევით, თუკი წიგნის მეტყველება, წერილობითი წყარო არ დაადასტურებს ამათუიმ ზმნის ერთ-ერთ მოსალოდნელ წარმოებას?

„ამა ორთა კიდეკათა აზრი არა არ იქნების“: ან საერთოდ არ შევიტანთ ლექსიკონში არც ერთ სიტყვას, რომელიც წერილობით წყაროში არ შეგვხვდება, ან კიდევ, წერილობითი წყაროების მხრივ დაუმოწმებლობისა მიუხედავად, ლექსიკონითაც დავადასტურებთ ამათუიმ მოსალოდნელ წარმოებას (ზმნის გარდა ეს საკითხი ლექსიკონში შესულ მეტყველების სხვა ნაწილებსაც ეხება, ცხადია, ოღონდ ამჯერად მათ დავტოვებთ, ზმნის ფარგლებს ნუ გავცილდებით).

ნებისმიერი მესამე გზის არჩევა პრინციპიდან გადახვევის მომასწავებელი იქნებოდა.

პირველ შემთხვევაში თავს ვერ დავაღწევდით უხერხულობას, ხარვეზებს: ვინ იქნება თავდები, რომ ესათუის წარმოება, რომელიც დღეს არ გვხვდება წიგნის მეტყველებაში, ხვალაც აღარ შეგვხვდება? ან რა გარანტია გვაქვს, რომ შემთხვევით არ გამოგვრჩენია ესათუის ერთეული?

მეორე შემთხვევაში საფუძველი გვექნება ვთქვათ, რომ ქართული ზმნა ლექსიკონში სრულად არის წარმოდგენილი, რომ ლექსიკონი ამოწურავს ქართული ზმნის მარაგს.

აღნიშნულთაგან რომელ პრინციპს ადგას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი? უნდა ითქვას, ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ავიღოთ ზმნა ხ ა რ შ ა ვ ს. წარმოების ზემოთ მოტანილი ნიმუშის თანახმად, ამ ზმნამ უნდა მოგვცეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ხ ა რ შ ა ვ ს, ი ხ ა რ შ ა ვ ს, უ ხ ა რ შ ა ვ ს, ა ხ ა რ შ ვ ი ნ ე ბ ს, ე ხ ა რ შ ე ბ ა, ი ხ ა რ შ ე ბ ა (სტატიკური წარმოება ამ ზმნას არ ეწარმოება). ამათგან განმარტებითს ლექსიკონში წარმოდგენილია (სათანადო დოკუმენტაციითურთ) ყველა ერთეული, გარდა ერთისა: ე ხ ა რ შ ე ბ ა.

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წარმოება (თავისთავად ერთობ ბუნებრივი) არ დაუდასტურებია ლექსიკონის შემდგენლების მიერ გამოყენებულ წერილობით წყაროებს. სხვაგვარად ვერ აიხსნება ექვსი წარმოებიდან მხოლოდ ერთის გაწირვა.

აქედან დასკვნა: რედაქციას სახელმძღვანელოდ აურჩევია მითითებულთაგან პირველი პრინციპი (არ შეუტანია ლექსიკონში არც ერთი სიტყვა, რომელიც წერილობით წყაროებში არ შეხვედრია).

ამავე დროს, ლექსიკონში უდოკუმენტაციოდ წარმოდგენილი იშვიათი ტიპის რამდენიმე ზმნა (აგრიოვებინებს და მისთანანი), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნიშანდობლივი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ეს პრინციპი ყოვლთვის არაა მკაცრად დაცული.

და, თუ ეს ასეა, მაშინ ძნელი გასარკვევია — რა ნიშნის მიხედვით ეძლევა უპირატესობა ამათუიმ ზმნას (ვთქვათ, ზემოხსენებულ კაუზატივებს) თავის მსგავსთა წინაშე.

2. ესოდენ დიდი გამოცემის განხორციელებისას ცალკეული ტომების რედაქტორებს თუ მთელი ლექსიკონის მთავარ რედაქტორს, ცხადია, არ შეიძლება მხედველობიდან არ გამორჩეთ ზოგიერთი შეუსაბამობა თუ უზუსტობა, რაც ცალკეული სიტყვების განმარტებას თან სდევს ლექსიკონში. ამიტომ, ვფიქრობ, მკითხველთა მხრივ ამ თვალსაზრისით, ამ სფეროში შენიშვნების მიწოდება მომავალ გამოცემას უთუოდ წაადგება.

მოვიტან ჩემის აზრით შესასწორებელი განმარტებების რამდენიმე ნიმუშს პირველი ორი ტომიდან (ყველა ტომის ასევე საგულდაგულოდ, გამოწვლილვით შესწავლა და დამუშავება ამჟამად ჩემს ძალას აღემატებოდა).

„ა ა შ ე ნ ე ბ ს — აღმართავს, ააგებს“.

თითქოს არავის უნდა ჰქონდეს რაიმე სადავო ამ განმარტებასთან: ყოველივე გასაგებია და ლოგიკური. მაგრამ ვიყოთ რეალურნი და საკითხი ასე დავსვათ: ყოველმა ქართულის მცოდნემ (თუნდაც სუსტად მცოდნემ) ისედაც მშვენივრად იცის, რას ნიშნავს სიტყვა ა ა შ ე ნ ე ბ ს; ოღონდ ეს არაფერს ცვლის — განმარტებითს ლექსიკონში, რაც უნდა კარგად ნაცნობი, ყოველდღიურად სახმარი სიტყვა იყოს, განუმარტავად ვერ დარჩება, თუნდაც ფორმალური მოსაზრებების გამო. მაგრამ თუნდაც ამგვარივე მოსაზრებების გამო განმარტება ტავტოლოგიურად არ უნდა იქცეს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ, როდესაც ვკითხულობთ: „ა ა შ ე ნ ე ბ ს — აღმართავს, ააგებს“, შესაძლოა უნებლიეთ ჩავხედოთ განმარტებულ სიტყვებსაც. შედეგი საკმაოდ მოულოდნელი იქნება: „ა ა გ ე ბ ს — ააშენებს“. „ა ღ მ ა რ თ ა ვ ს — იგივეა, რაც ამართავს“. ხოლო რა არის ა მ ა რ თ ა ვ ს? „ა მ ა რ თ ა ვ ს — ააგებს, ააშენებს, დადგამს“ (მე-3 მნიშვნელობა). აქ უკვე გაჩნდა დ ა დ გ ა მ ს. ამ სიტყვასაც ჩავხედოთ: „დ ა დ გ ა მ ს — ააშენებს, ააგებს“ (მე-2 მნიშვნელობა).

მაშასადამე, დატრიალდა ოთხი სიტყვა (ა ა შ ე ნ ე ბ ს, ა მ ა რ თ ა ვ ს, ა ა გ ე ბ ს, დ ა დ გ ა მ ს), რომელთაგან ოთხივე ერთიმეორეს განმარტავს სხვა რაიმე ნიშნის გარეშე. ამავე დროს, ეს ოთხი სიტყვა არამც და არამც არაა ერთმანეთის მიმართ ისეთი ზუსტი სინონიმები (როგორიცაა, ვთქვათ, ავადმყოფი და სნეული, კოჭლი და მკელობელი, კოცნა და ამბორი, ბებერი და მოხუცი, ბარათი და წერილი და მრავალი სხვა...), რომ თვითეულის შინაარსმა დანარჩენთა შინაარსი ამოწუროს და დაფაროს.

მე მგონი, რომ მთელ ამ მსჯელობასაც დაჰკრავს ფორმალურობის იერი. მაგრამ დიდია სურვილი — ამ შესანიშნავ ნაშრომში ყოველივე აბსოლუტურად ზუსტი, ბოლომდე გარკვეული და უნაკლო იყოს.

„ა წ რ ი ა ლ ე ბ ს — წრიალით აიყვანს“ (აქვეა ილუსტრაცია: „მერცხალს მხარში შეესხდა დედ-მამა, ერთიმეორეს აწრიალებს“...).

წ რ ი ა ლ ი საკმაოდ უჩვეულოდ ჟღერს, შესაძლოა მრავალმა მკითხველმა არ იცოდეს მისი მნიშვნელობა. ვნახოთ ლექსიკონშივე: „წ რ ი ა ლ ი — ხეტიალი, წოწიალი“.

შეუსაბამობა აშკარაა.

ლექსიკონში მოთავსებული ზოგიერთი სიტყვის ზედმეტად ძუნწი, სიტყვაძვირი განმარტება მოულოდნელ კონტრასტად ჩანს სხვა სიტყვათა ამომწურავ, ზოგჯერ ერთობ ვრცელ განმარტებასთან შედარებით. ავიღოთ სიტყვა ა ნ გ ა ლ ა. დარწმუნებული ვარ, მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს უცნობი სიტყვა იქნება. ამიტომ აშკარად არასაკმარისია (აღარ ვამბობ: მკითხველისათვის არაფრის მთქმელია-მეთქი) ამგვარი ლაკონური განმარტება: „ა ნ გ ა ლ ა — ოქრომჭედლის იარაღი“.

შევუდაროთ ამ განმარტებას მეორე: „ა ნ კ ი-ბ ა ნ კ ი — საბავშვო თამაშობა. ბავშვს, რომელმაც ჯერ კიდევ რიგიანად თვლა არ იცის, დიდები გასართობად ეუბნებიან, რომ ერთი ხელიდან ოცს თითს გამოუყვანთო, და ითვლიან: ანკი, ბანკი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი. თვლას ნეკიდან იწყებენ“.

არც ამგვარი განმარტებაა სრული: „გ ა ა ც ლ ა ნ გ ე ბ ს — ცლანგს გახდის“. ც ლ ა ნ გ ი არაა ისეთი ჩვეული სიტყვა, მისი მნიშვნელობა ყველამ იცოდეს, რომ გაიგოთ, რას ნიშნავს გ ა ა ც ლ ა ნ გ ე ბ ს, უნდა მოიძებნოს ც ლ ა ნ გ ი („ცელლუტი“ ყოფილა). ისიც ანგარიშგასაწევია, რომ, თუ ვინმე მართლა დაინტერესდა ამ სიტყვით, 13 წლიწადს მოუხდებოდა ლოდინი: გ ა ა ც ლ ა ნ გ ე ბ ს შეტანილია ლექსიკონის მეორე ტომში, რომელიც გამოვიდა 1951 წელს, ხოლო ც ლ ა ნ გ ი — მერვეში, რომელიც შარშან გამოვიდა.

ზოგიერთი განმარტება შინაარსის მხრივ მეჩვენება სადავოდ.

„გ ა ა მ ჩ ი ვ ნ ე ბ ს — მომწვანოდ გახდის“. საილუსტრაციოდ მოტანილია რუსთაველის ფრაზა: „საბოლოოდ დამირიგდა, თავი მისი გაამჩივნა“. სათანადო ადგილას „ვეფხისტყაოსანში“ ამ ფრაზას ამბობს ტარიელი, რომელსაც ფრიდონმა მოუთხრო თავისი თავგადასავალი — თავი გაამჩივნა. კონტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უფრო სწორი უნდა იყოს მკვლევარ რამაზ პატარიძისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც გაამჩივნა ნიშნავს გ ა ა მ ჟ ღ ა ვ ნ ა.

სიტყვასთან გ ა ა ქ ვ ს მოტანილია იდიომატური გამოთქმა: ბ უ რ თ ი გ ა ა ქ ვ ს, რომელიც განმარტებულია ასე: „ბ უ რ თ ი გ ა ა ქ ვ ს — ბურთი დანიშნულ ადგილზე მიაქვს“; არა მგონია მართებული იყოს ანგარიშგაუწევლობა იმ ფაქტისა, რომ მილიონობით ქართველისათვის ბურთის გატანა ადგილზე მიტანას კი არ ნიშნავს, არამედ დარტყმის შედეგად ბადეში (კარში) მოთავსებას.

ორიოდე წვრილმანი კიდევ.

სიტყვას გ ა ბ ა ნ ც ა ლ დ ე ბ ა მიწერილი აქვს „სასაუბრო“, ხოლო სიტყვას ბ ა ნ ც ა ლ ი — კუთხური (იმერული)“. თუ ბ ა ნ ც ა ლ ი კუთხურია, გ ა ბ ა ნ ც ა ლ დ ე ბ ა ც კუთხური უნდა იყოს და პირუკუ.

გ ა ა ნ ო ჩ ე ბ ს — მიწერილი აქვს: „კუთხური (იმერული, გურული)“, ხოლო ზმნები გ ა დ ა ა ნ ო ჩ ე ბ ს, მ ი ა ნ ო ჩ ე ბ ს, მ ო ა ნ ო ჩ ე ბ ს უკვე ამგვარი კვალიფიკაციის გარეშეა წარმოდგენილი. მსგავსი ფაქტები, ცოტა არ იყოს, აბნევს მკითხველს.

3. ალაგ-ალაგ საილუსტრაციო მასალა მარჯვედ ვერაა შერჩეული, ან კიდევ შეცდომითაა წარმოდგენილი.

სიტყვასთან ს ა ი მ დ რ ო ო ვკითხულობთ ამგვარ ილუსტრაციას: „საიმდროო ყვავილების ქარში მიქრის ტბორი“.

გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსის სათანადო ადგილას წერია:

> ქარიშხალი მიდის საიმდროო
> ყვავილების ქარში მიჰქრის ტბორი.

რა ვუყოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების 1927 წლის გამოცემაში ამ ადგილის კორექტურული შეცდომაა — მძიმე არასად უწერია; გასაგებელიც რომ ეწეროს ეს ორი სტრიქონი და არა ლექსად, „საიმდროო ყვავილები“ მაინც არ უნდა ამოვიკითხოთ. პირველ სტრიქონში ელემენტარული ტმესა გვაქვს: „ქარიშხალი მიდის საიმდროო“ იგივეა, რაც „საიმდროო ქარიშხალი მიდის“. სხვაგვარად ამ სტრიქონების წაკითხვა გაუგებრობაა — „საიმდროო ყვავილები“ წარმოუდგენელი რამ არის.

სიტყვასთან ს ი ლ ა ჟ ვ ა რ დ ე მოტანილია გალაკტიონ ტაბიძისავე ლექსის ციტატა. ვერასგზით წარმოვიდგენდი, რომ ამ პოეტურ სიტყვასთან (მომიტევონ ენათმეცნიერებმა!) დაკავშირებით არ მოიტანდნენ ლამის ყოველი ქართველის მიერ ზეპირად დასწავლილ სტრიქონებს — „ჩემი ცხოვრების გზა სისხამარია და შორეული ცის სილაჟვარდე“ და ნაცვლად ამისა წარმოგვიდგენდნენ ამგვარ უცნაურ ფრაზას გალაკტიონის ადრეული ლირიკიდან: „ცის დასავალს, როგორც ლუქი, გადაეკრა ნორჩი მუქი, შეფირტყმული ნაზი ლილით, აფურადდა ყვავილოვანი სილაჟვარდე მუქი, მუქი“.

არც საილუსტრაციოდ, არც აზრის სიცხადით, არც გემოვნების, დაბოლოს, არც ადრეული [illegible] თვალსაზრისით შედარებაც კი არ შეიძლება ამ ორი ციტატისა.

რაკი გალაკტიონ ტაბიძეზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთსაც დავუმატებ: „მიხტერ დილის სხივებზე ბაიდის სახე მოღერებლება“ (სიტყვასთან მ ო ღ ე რ ე ბ ლ ე ბ ა) სჯობს, თუმცა, ამგვარი სტრიქონი: „მაშინ მთებს ისევ უსუსურად შუბლი მოუწყვეთ მოღერებლება“. მართალია, ეს მაგალითი, შესაძლოა, სადავოც იქნეს. შესაძლოა თქვან: „მთებს შუბლი მოღერებლება“ თავისთავად განსამარტავია, იდიომით გამოთქმული სახეა. შესაძლოა ასეც იყოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, „ბაიდის სახის მოღერებლებაც“ იდიომია თავისთავად.

ასევე, ნ ა ქ ა ჯ თ ა ნ დამოწმებული ფრაზისთვის („მეტი წილი ნაქაჯსა თათარაც უმართოდით“) იქნებ ეჯობინა გურამიშვილის სტრიქონი: „[illegible] ქალას ბაბილო ნაქაჯი და ნაჭაჭარი“.

თუმცა, ამგვარად რომ მივყვეთ, სუბიექტური მოსაზრებებით თუ სუბიექტური გემოვნების საზომებით კრიტერიუმებს ვერ გავაცდებით და ეს შორს წაგვიყვანს...

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაადგინა 1965 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოს ხელოვნების და ჟურნალისტიკის დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის:

1. იური ალექსანდრეს ძე ზავადსკის, რეჟისორს, ნიკოლოზ დიმიტრის ძე მორდვინოვს, არბენინის როლის შემსრულებელს — სპექტაკლისათვის „მასკარადი" მოსკოვის საბჭოს სახელობის აკადემიურ თეატრში.
2. ლეონიდ ბორისის ძე კოგანს, — საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის (1962-1964 წლების პროგრამები).
3. გრიგოლ მიხეილის ძე კოზინცევს, რეჟისორს, ინოკენტი მიხეილის ძე სმოქტუნოვსკის, ჰამლეტის როლის შემსრულებელს — მხატვრული ფილმისათვის „ჰამლეტი".
4. მიხეილ ვასილის ძე კუპრიანოვს, პორფირე ნიკიტას ძე კრილოვს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სოკოლოვს (კუკრინიკსი) — პოლიტიკური კარიკატურების სერიისათვის, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში" და ჟურნალ „კროკოდილში".
5. სერგეი სერგის ძე სმირნოვს, — წიგნისათვის „ბრესტის ციხე-სიმაგრე".

ლენინის სახე

პოლიო აბრამია

მუდამ აქ არის, მარად უკვდავი
და სხივმოსილი მისი სახელი;
ფიქრზე დაგვინათის დაუჩრდილავი,
დიდი ოქტომბრის მზე და ნათელი.

ის განუწყვეტლივ ჩვენ შორის არის
და გვალხენს მუდამ იმისი მზერა,
როგორც სიცოცხლის ტკბილი ნექტარი
და უკვდავების, ძლევის სიმღერა.

ის სასოებით გვმოსავს და გვალხენს,
ყველგან ილიჩის არის ხსენება,
სიმტკიცეს ღრმად მიუძღვის ხალხებს,
გამარჯვებებს და ქვეყნის შენებას.

შევხარით მუდამ ჩვენ იმის თვალებს,
რომ გვაგვიწყოს ბრძოლებში გზები;
მან მოიტანა ქვეყნად ბრწყინვალე,
კაცობრიობის დიდი მიზნები...

ის აკავშირებს მეგობრულ ძალით,
საბჭოთა ქვეყნის ერების ძმობას;
მან გვიანდერძა მთელი სიმძლავრით,
სამშობლოს მტერთან სასტიკი მტრობა.

მთელი სიდიადით მოსჩანს ლენინი,
ჩვენს განახლებულ, დიად მამულში,
ის ყველგან არის, სხივგაფენილი,
როგორც მნათობი ჩამდგარი გულში.

ის ყველგან არის, ძველი სამყაროს
ბრძოლის ქარიშხლით დამამხობელი,
ახალი ქვეყნის სიცოცხლის წყარო,
განთიადების შუქთა მფლობელი.

ის ყველგან არის... დაუცხრომელი,
მარადი წინსვლის, ბრძოლის განგაში;
მისი ხმა მტკიცე და მახლობელი,
ელვარებს ყველა ჩვენგანის ხმაში.

ის სარდალია — მზე და ნიავი,
უტეხი ნებით გულის ანთება,
სიყვარულთა ვრცელი ლაჟვარდის
შუქის ნათელით გადანათება.

დიადი თარიღების შესახვედრად

ახლოვდება ორი დიდი თარიღი. მალე ჩვენი ქვეყანა იზეიმებს ლენინის დაბადების 100 წლისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები გაცხოველებული ემზადებიან ამ თარიღების შესახვედრად.

თეატრის მუშაკთა ვალია მოგვცენ სწორედ ისეთი სპექტაკლები რომლებშიც სრულად იქნება წარმოდგენილი ჩვენი დღეების ადამიანის სულიერი სამყარო, სრულყოფილად გაშუქდება ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა, საბჭოთა ადამიანის გმირული და თავდადებული შრომა. სწორედ ამ დიდი თარიღებისათვის მზადებას მიეძღვნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეორე პლენუმი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

მოხსენება — „მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის" — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ.

მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა განვლილ თეატრალურ სეზონში საქართველოს თეატრების მუშაობა, შეეხო მეტად საინტერესო საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ვ. ახვლედიანმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა, კომპოზიტორმა არ. ჩიმაკაძემ, პროფესორმა დ. ჯანელიძემ, სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ბ. მჭედლიძემ, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ აკ. დვალიშვილმა და სსრკ სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ.

გიორგი შატბერაშვილი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, — 19 აპრილს ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შატბერაშვილი.

გიორგი ივანეს ძე შატბერაშვილი დაიბადა 1910 წლის 14 აპრილს, თბილისში. 1928 წელს, საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წელს დაამთავრა.

გიორგი შატბერაშვილმა მოწაფეობისშივე დაიწყო ლექსების წერა. მისი ლექსების პირველი კრებული 1933 წელს გამოქვეყნდა. ახალგაზრდა მწერალი აქტიურად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში. მან სიჭაბუკეშივე დრამატურგიაშიც სცადა თავისი კალამი და მისი პირველივე პიესა „დუშმანი" 1934 წელს დაიდგა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ახალგაზრდა მწერალი 1936 წელს კასპის რაიონში გაემგზავრა და რვა წლის განმავლობაში რაიონის სხვადასხვა სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. გ. შატბერაშვილი ამ წლებში ახლოს ეცნობოდა სოფლის ცხოვრებას და აგროვებდა მასალებს თავისი მომავალი მოთხრობებისა და პიესებისათვის.

1945 წელს ქართველმა მაყურებელმა თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ნახა გ. შატბერაშვილის პიესა „ფიქრის გორა". პიესას დიდი წარმატება ხვდა წილად და რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრში დაიდგა. ამ პიესას მოჰყვა „რკინის პერანგი" და „ძველი სახლი", რომლებიც დაიდგა 1947-1948 წლებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

დიდი ერუდიციისა და გაქანების შემოქმედი ვერ ეტეოდა ლიტერატურის ერთი რომელიმე ჟანრის ჩარჩოში. დაკვირვებული და გამჭრიახი თვალის მხატვარს ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და ამიტომ იგი ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრს მიმართავდა და ამ ჟანრებში ერთდროულად მუშაობდა. მის სამუშაო მაგიდაზე მხარდამხარ იქმნებოდა ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები, საბავშვო ნაწარმოებები, ნარკვევები, ლიტერატურული წერილები. იგი ამავე დროს სიყვარულით თარგმნიდა ქართულ ენაზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ბევრი საინტერესო მოთხრობა შექმნა მწერალმა. მან მკითხველს პირველად მოთხრობების წიგნი „უკვდავი ფესვი" შესთავაზა 1949 წელს. [illegible]

მწერლისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო უკანასკნელი წლები. ქართული წიგნის თაროებს მან ზედიზედ შემატა ლექსების შესანიშნავი წიგნები „აქ მთაზე" და „ხამაია" (1956 წ.), „მოთხრობები" (1954 წ.) და „მკვდრის მზე" (1960 წ.), წერილებისა და ნარკვევების კრებული „ნაფიქრი" (1959 წ.) და „პიესები" (1963 წ.), საბავშვო ნაწარმოებების წიგნები „კარგი ბიჭი" (1949 წ.), „მტკვრის სათავისაკენ" (1951 წ.), „სათაგური" (1958 წ.) და „ხილთა ქება" (1961 წ.), პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკები" (1963 წ.) და „ჭაშნიკი" (1964 წ.). ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში იყო 1962 წელს გამოცემული ვრცელი კრებული „პოეზია, პროზა".

„მკვდრის მზე" მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებია. [illegible]

გიორგი შატბერაშვილის ბევრი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე.

[illegible]

იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

[illegible]

გიორგი შატბერაშვილის განვლილი გზა მარად დარჩება დიდი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ შესანიშნავი მწერლისა და ადამიანის სახელი უკვდავი? [illegible] ჩვენს გულში, ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ვოლგოგრადის მამაცი მებრძოლი

გააფთრებული ბრძოლა იყო. გრიგოლ სვანიძის დანაყოფმა, რომელიც გენერალ-მაიორ თავართქილაძის სახელოვან დივიზიაში შედიოდა, მეტად რთული დავალება მიიღო. საჭირო იყო ფაშისტური არმიის რამდენიმე დივიზიის შეტევის შეჩერება. [illegible]

[illegible]

1942 წლის ზაფხულის ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. [illegible]

[illegible]

სვანიძემ ბრძოლის ქარცეცხლში დიდი და ძნელი გზა გაიარა ჭარისკაცობიდან ოფიცრამდე. მაღლიანი ვაჟკაცი დღესაც ნიმუშად განაგრძობს ბრძოლასა და შრომას მილიციის რიგებში.

ქრისტეფორე გიორგაძე,
მილიციის პოლკოვნიკი.

ჩვენი გიორგი

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან გიორგი შატბერაშვილი, გამოჩენილი საბჭოთა პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი. შესანიშნავი მოქართულე და კეთილშობილი ვაჟკაცი, მუდამ ალალმართალი, გულღია, უშუალო, ცოცხალი და მომხიბვლელი განსახიერება ჩვენი ხალხის სულიერი სიმშვიდისა და სიფხიზლისა [illegible]

[illegible]

ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ა. ადამია, შ. აფხაიძე, მ. ასათიანი, დ. ბენაშვილი, ხ. ბერულავა, მ. ბეწუკელი, კ. გამსახურდია, ალ. გომიაშვილი, ა. გაწერელია, გ. გაჩეჩილაძე, ლ. გოთუა, ნ. გურეშიძე, ი. ვაკელი, პ. ინგოროყვა, კ. კალაძე, ს. კლდიაშვილი, ლ. კალანდაძე, ა. კაკაბაძე, გ. ლეონიძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. ლისაშვილი, რ. მარგიანი, ე. მაისურაძე, ა. მირცხულავა, მარიჯანი, მ. მაჭავარიანი, მ. მრევლიშვილი, მაყ. მრევლიშვილი, ე. მაღრაძე, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ერ. ქარელიშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, გრ. ჩიქოვანი, ო. ჩხეიძე, მ. წულუკიძე, ს. ჭილაია, მ. ჭელიძე, ე. ციციანი, თ. ჯანგულაშვილი, გ. ჯიბლაძე, რ. ჯაფარიძე, ი. ჭრჭემლაშვილი, შ. ალხაზიშვილი, ნ. დუმბაძე.

აგიზიდავს დიდი ტვირთი

ქართულ სიტყვას ალმერთებდი,
სიტყვას მძლავრს და მარილიანს,
აღზევების ალმართები
ბევრჯერ მარჯვედ აგივლია.
აგიზიდავს მძიმე ტვირთი,
გასცდომიხარ გზას ნისლიანს.
უმარილო მოზურებისთვის
სამარილე აგივსია.
საჭილდაო ქვას შეხმიხარ,
მაღლა აგიტაცებია...
მაგრამ ეს რა ხმა დაირხა
და ეს ცრემლი რა ცრემლია?!
წაქცეულხარ უცებ ხარი,
მუხლმაგარი, გამწევქედა.
ვკოცნავთ შენი სიტყვის მარილს,
ცრემლის მარილს ვაყრით ზედა.

ნოდარ შამანაძე

დევგმირთა ნაკვალევზე

ამ ლეგენდარული ლაშქრობის გმირთაგან რომელი ერთი გავიხსენოთ? — ისინი ბევრნი იყვნენ, მამაცი და გამჭრიახი მეომარი ათასობით იყო, მაგრამ, მგონი, არავის დარჩება საწყენად, ზოგიერთის გვარს მაინც თუ გავიხსენებთ, რომ მათ, ვინც კავკასიონზე 1942 წლის ნოემბერში ამ ლაშქრობის მონაწილე და მხნეველი არა ყოფილა, [illegible]

[illegible]

ასე იბრძოდნენ ჩვენი მამაცი თანამემამულენი კავკასიონის მიუვალ მთებში.

პეტრე შამათავა

1945-1965

მეგობრის ხსოვნას

თავზარი დაგვცა გიორგი შატბერაშვილის დაკარგვამ! ჩვენგან წავიდა შესანიშნავი ხელოვანი და მოქალაქე, სპეტაკი ადამიანი, სახელოვანი მწერალი, ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი. წავიდა მოულოდნელად, უდროოდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემოქმედებითი ენერგიით და სიცოცხლის წყურვილით სავსე.

[illegible]

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო, სამაგალითო შემოქმედო, ჩვენი ხალხის სასიქადულო შვილო!

ალექსანდრე ომიაძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

გიორგი ტატიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

გიორგი შატბერაშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

გიორგი შატბერაშვილის პანაშვიდი გაიმართება 23 აპრილს საღამოს 8 საათზე (გოგებაშვილის ქ. № 48).

გამოსვენება 24 აპრილს, 5 ს. მწერალთა სასახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13). დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ახალი ეტაპი კომპოზიტორის შემოქმედებაში

ა. შავერზაშვილის ოპერა „ოიდიპოს მეფის" გამო

ოიდიპოს მეფის შემაძრწუნებელ ტრაგედიას, ადამიანის ვნებათა სიმძაფრეს, სოფოკლეს სახეების სკულპტურულობას და და პლასტიკურობას არაერთი კომპოზიტორი აუღელვებია.

და აი, „ოიდიპოსი" კვლავ გვიტაცებს შინაგანი სტიქიური ძალით. ამჯერად ტრაგედია თავისებურად „წაიკითხა" ქართველმა კომპოზიტორმა.

„მუდმივი" თემა ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებდა კომპოზიტორს; მან არ უნდა ეღალატა თავისი თავისათვის, ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა ეროვნული სახე, საკუთარი სტილი, მუსიკალური ენა და ამავე დროს უბრალოდ მუსიკალურად კი არ უნდა აესახა სიუჟეტური ხაზი, სახეები, არამედ უნდა შეესისხლხორცებინა, უცხოური მშობლიურად უნდა ექცია.

მე მგონია, სწორედ ეს იყო ყველაზე რთული პრობლემა კომპოზიტორისათვის, და ის, რომ მან დაძლია და ჭეშმარიტად თანამედროვედ „წაიკითხა" ტრაგედია, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხატვრული ღირსება ა. შავერზაშვილის ახალი ოპერისა. „ოიდიპოს მეფის" მუსიკა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულია, ქართულია, ვინაიდან ეს არის ქართველი კომპოზიტორის აზროვნება. ოპერის სახეები, განსაკუთრებით ხალხის სახე, საუცხოო გუნდებში აღბეჭდილი, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ხალხია, რომელმაც თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე არაერთი განსაცდელი გამოიარა.

ოპერის მეორე არანაკლებ ძვირფასი თვისებაა სრულიად საკუთარი ინდივიდუალური მიდგომა „მუდმივი" თემისადმი. ა. შავერზაშვილმა განზრახ აუარა გვერდი „გატკეპნილ გზას" და სრულიად გააზრებულად მიუდგა ტრაგედიის თავისებურ ახსნას.

შესაძლოა კომპოზიტორს უსაყვედურონ ამგვარი თავისუფალი მიდგომა ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, მაგრამ ვფიქრობ, სამართლიანი არ იქნება ეს საყვედური.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო შოსტაკოვიჩის წერილი „სამი შეკითხვა — ერთი პასუხი", გამოქვეყნებული ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკაში". ამ წერილში შოსტაკოვიჩი პრინციპულ საკითხს აყენებს ლიტერატურული პირველწყაროს და კომპოზიტორის ჩანაფიქრის თანაფარდობის და იგივეობის შესახებ და ხაზს უსვამს, რომ მუსიკას თავისი საკუთარი ესთეტიკური კანონები აქვს.

თვითეული კომპოზიტორი თავისებურად აღიქვამს ლიტერატურულ ნაწარმოებს, თავისებურად „ესმის" ის, — ამბობს შოსტაკოვიჩი, — და ამიტომ სრული უფლება აქვს სურვილისამებრ გაიაზროს ის, იპოვნოს შერჩეულ ლიტერატურულ ქმნილებაში თავისათვის ყველაზე მახლობელი.

ა. შავერზაშვილმა სოფოკლეს ტრაგედიაში სწორედ ამ მახლობელს მიაგნო და თავისებურად გაიაზრა (ლიბრეტო თვით კომპოზიტორისაა, ქართული ტექსტის ავტორები დ. გაჩეჩილაძე და ა. ქვლივიძე).

ოპერა, შემდგარი 5 ეპიზოდისაგან, რომლებიც თანამიმდევრულად აღრმავებენ შინაგან დრამას, არის პიროვნების ტრაგედია. ოიდიპოსის გარშემოა კონცენტრირებული მთელი მოქმედების განვითარება. იგი მარტო მთავარი პერსონაჟი როდია, იგი დრამატურგიული ბირთვია, რომლისგანაც, ყოველი მხრისაკენ იშლება მთლიანის ძაფები.

ყველა დანარჩენი პერსონაჟი კიდევ უფრო აღრმავებს მთავარ სახეს, ამდიდრებს მას. თავად ოპერა კომპოზიტორის წარმოუდგენია როგორც ერთი სუნთქვა, ერთი ამოოხვრა, მოქმედების განვითარების შინაგანი ლოგიკურობით, მძაფრი კულმინაციით და კვანძის ბუნებრივი გახსნით. კომპოზიტორის ჩანაფიქრით ოპერა შეუსვენებლად უნდა სრულდებოდეს. ამიტომაც არ იყო მიზანშეწონილი ოპერის პირველივე საკონცერტო შესრულებისას მისი ორ ნაწილად გაყოფა. ამგვარად იკარგება მთლიანობის შთაბეჭდილება.

ოპერის მუსიკალურ დრამატურგიაში განვითარების მონოთემატური პრინციპია გატარებული, მაგრამ ეს სრულიადაც არ აღარიბებს, პირიქით ჰკრავს მას, მთლიანობას ანიჭებს. ოპერის გარეგნულად მკაცრი, ზოგჯერ ასკეტური მუსიკაც კი, აღსავსეა შინაგანი დინამიკურობით და ექსპრესიით. ძლიერი ადამიანური ვნებები ეჯახება აქ ერთმანეთს.

კომპოზიტორმა უაღრესად დადებითად გადაჭრა ფინალის პრობლემა. მთელ რიგ შემთხვევაში ფინალის სისუსტე — ფრაგმენტულობა, იდეური კონცეფციის განზოგადების უქონლობა ამცირებს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას.

„ოიდიპოსის" ფინალი ოპერის ლოგიკური დასკვნაა, სადაც მუსიკალურ-დრამატული მოქმედების ყველა კომპონენტი ერთ მთლიანობაშია მოქცეული, და ემსახურება მთავარი იდეის განზოგადებას.

ოიდიპოსი მრავალფეროვანი პერსონაჟია, მასში შერწყმულია ჰეროიკული, ლირიკული, ტრაგიკული. თვითეული ეპიზოდი თანამიმდევრულად ხსნის თებეს მმართველის შინაგან სულიერ სამყაროს. და თვითეულ ეპიზოდში ოიდიპოსის ვოკალური პარტია სახეს იცვლის, სულ უფრო დრამატული ხდება. პირველი გამოჩენისთანავე ოიდიპოსი წამოწეულია წინა პლანზე, მთელი თავისი ვაჟკაცური სიდიადით და სიბრძნით. ჰეროიკული, წინსწრაფი, აღმაფრენითი ინტონაციები მონოლოგისებურ არიოზოში იცვლება გამომსახველი ლირიკული ეპიზოდით „მე როდის მინახავს". აქ ოიდიპოსი — გმირიც არის, მმართველიც და თავისი ხალხის და სამშობლოს მოსიყვარულე ადამიანიც. ჰეროიკული და ლირიკული ამდიდრებს ერთმანეთს. ამრიგად, პირველ ეპიზოდში ექსპონირებულია მთავარი გმირის მუსიკალური პორტრეტი. შემდეგში ეპიზოდები ანვითარებს სახის ამა თუ იმ თვისებას. მაგალითად, იოკასტესთან ყოფნის სცენაში ოიდიპოსი კვლავ ლირიკულია. ეს მხოლოდ დროებითი სულიერი სიმშვიდეა. შემდეგში... შემდეგში კი მოქმედება ელვის სისწრაფით მიიჭრის დასასრულისაკენ. სულ უფრო და უფრო რწმუნდება ოიდიპოსი თავის საშინელ დანაშაულში. ყოველივე ეს უკანა პლანზე გადაინაცვლა; არც ამაყი ოიდიპოსი-მმართველი არსებობს და არც ოჯახის მოსიყვარულე ოიდიპოსი. დარჩა მხოლოდ ღრმად ტანჯული ადამიანი, რომელიც ულმობელმა ბედმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. მას გაუქარწყლდა ყოველი იმედი, გაუშიშვლდა გრძნობები. მეოთხე ეპიზოდი დაასრულა იოკასტეს ბედი, მეხუთე — ოიდიპოსისა. რიტმული მკვეთრი წამოძახილები, წყვეტილი, ქრომატიზმებით აღსავსე, ცდომილი ფრაზები, ტონალური მერყეობა ოპერის დასკვნით სცენაში — ყოველივე ეს ასრულებს მთავარ სახეს. აღარ არის უკვე ოიდიპოსის ვოკალურ პარტიაში წინანდელი კანტილენა და ადამიანური სითბო. ასრულდა — კომპოზიტორს ლოგიკურად მივყავართ ტრაგედიის დასასრულისაკენ.

ხოლო კვანძის შეკვრა ოპერის პირველ ტაქტებთანვე, პატარა საორკესტრო შესავლიდანვე იწყება, სადაც ჯერ ჩუმად, ძუნწად, ფარულად ჟღერს ბოროტების თემა. მას უდიდესი იდეურ-აზრობრივი მნიშვნელობა ენიჭება — ოპერის სიმფონიზირებას ახდენს.

ეს თემა გამოჩნდება ოპერის ყველაზე კულმინაციურ მომენტებში, როგორც სიმბოლო დანაშაულისა და მისაგებელისა.

ბედისწერის თემის ჟღერადობა ცვალებადია იმისდა მიხედვით, თუ როგორია დრამატული სიტუაცია. მაგრამ მისი ოთხი ბგერა, რომელიც უდაბლეს რეგისტრში ჟღერს, როგორც საბედისწერო ზარი, ყველგან სდევნის ოიდიპოსს.

ოპერის პირველ ეპიზოდში ეს მხოლოდ რემინისცენციაა საშინელი უბედურებისა. ის ოიდიპოსს აფორიაქებს, თანდათან სულიერ სიმშვიდეს, მოსვენებას უკარგავს.

დიდი ანსამბლი — კვარტეტი (ოიდიპოსი, იოკასტე, მწყემსი, მოამბე) ოპერის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია; გაქრა ყოველგვარი ეჭვი მეფისათვის. აქ უკვე ბოროტების თემა ჟღერს როგორც პირდაპირი დანაშაული მთელი საორკესტრო ტუტით.

მაგრამ ოიდიპოსის მშფოთვარე სულიერი სამყარო ნამდვილი ფსიქოლოგიური ძალით ბევრად უფრო ადრე გადაიშალა. ეს გახლავთ სიმფონიური ანტრაქტი — პასაკალია მესამე მოქმედების დასასრულს — ოპერის ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი, რომელშიაც ასე ნათლად გადაიშალა კომპოზიტორის პოლიფონიური ნიჭი. ოპერისათვის დამახასიათებელი ტალღისებური განვითარება, დიდი დრამატული მონაკვეთების ერთმანეთზე დაშრევება პასაკალიაში მთავარ პრინციპად იქცა. ბედისწერის თემის გაშლილი მოქმედება პასაკალიის ოპერის პირველ ტრაგიკულ კულმინაციად გადაიქცევა. თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში კომპოზიტორებს არც თუ ისე ხშირად შემოაქვთ წმინდა პოლიფონიური ფორმები. უდავოა, რომ ა. შავერზაშვილისათვის შესანიშნავი მაგალითი იყო შოსტაკოვიჩის „კატერინა იზმაილოვას" გენიალური პასაკალია.

„ოიდიპოს მეფე" მარტო პიროვნებისა კი არა, მთელი ხალხის ტრაგედიაა. ის აქტიური მონაწილეა ყველა ამბისა. ხალხი განა მარტო თანაუგრძნობს ოიდიპოსს? მას ჭირსა და ლხინსაც იზიარებს! შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ოპერა იწყება და მთავრდება საგუნდო-მასობრივი სცენებით — ეს ერთგვარად კვანძავს ტრაგედიას. ტრაგედიის ყველაზე კულმინაციური მომენტები ერწყმის გუნდი-ხალხის მაქსიმალურ აქტიურობას. სოფოკლეს ტრაგედიის ფილოსოფიურ-მჭვრეტელობითი გუნდები კომპოზიტორმა შეცვალა ქმედითი ხალხით. მამაკაცთა გუნდების ჩართვა ოპერას ვაჟკაცურად მკაცრ ხასიათს ანიჭებს. ეს კომპოზიტორის კარგი მიგნებაა.

საგუნდო სცენებში განსაკუთრებით გამოვლინდა ა. შავერზაშვილის შემოქმედებითი სტილის ეროვნული თვისებები. ასეთია პირველი ეპიზოდის მამაკაცთა ქორალი, საუცხოო ქალთა ლირიკული გუნდი — ლოცვა. და ბოლოს ყველაზე დიდი, ცენტრალური კულმინაცია ტრაგედიისა — ორმაგი საგუნდო ფუგა, სადაც აშკარად გაისმის ძველი ქართული ტირილის ინტონაციები.

„ოიდიპოსის" საგუნდო ეპიზოდებში კომპოზიტორმა გამოიყენა ქართული ხალხური სიმღერისათვის ესოდენ დამახასიათებელი პოლიფონიური სიმდიდრე.

ოპერაში უმთავრესად სიმღერის მელოდიურ-დეკლამაციური სტილი ბატონობს. ეს კი ნაკარნახევი იყო თვით ჟანრის — მუსიკალური ტრაგედიის სპეციფიკურობით.

ახალდაბადებულის ჭეშმარიტ მფარველად და ენთუზიასტად მოევლინენ დირიჟორი ო. დიმიტრიადი, კაპელის ხელმძღვანელი გ. ბაქრაძე, ორი დიდი შემოქმედებითი კოლექტივი — საქართველოს სიმფონიური ორკესტრი და სახელმწიფო კაპელა, სოლისტები: მ. დონაძე, ა. მურადოვა, ნ. გელაშვილი, ნ. ნადიბაიძე, შ. ვაშალომიძე, თ. ლაფერაშვილი.

ახალი ნაწარმოების დაბადება თვითეული ხელოვანისათვის აღსავსეა ღრმა აზრით, მაგრამ კომპოზიტორის ჩანაფიქრი და ახალი ნაწარმოების მხატვრული მნიშვნელობა ყოველთვის როდია ადეკვატური. ზოგჯერ ახალი ავტორის ჩვეულებრივი, მორიგი ქმნილებაა, ზოგჯერ კი ის შემოქმედების მთელ ეტაპს გახლავთ. სწორედ ამგვარ საეტაპო ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ კომპოზიტორისათვის „ოიდიპოს მეფე".

მირა ფიჩხაძე

შ. ნ. ბუაჩიძე

გარდაიცვალა გამომცემლობა „განათლების" დირექტორი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი შალვა ნიკოლოზის ძე ბუაჩიძე.

შ. ბუაჩიძე დაიბადა 1899 წელს ქ. ქუთაისში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შ. ბუაჩიძე საქართველოში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე აქტიურად ებმება ახალგაზრდა რესპუბლიკის კულტურული მშენებლობის ფერხულში.

1923-1938 წლებში, როცა საფუძველი ეყრება ქართულ საბჭოთა ჟურნალისტიკას, შ. ბუაჩიძე მუშაობს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში; აქ იგი გადის სარედაქციო მუშაობის თითქმის ყველა საფეხურს — მთარგმნელიდან რედაქციის პასუხისმგებელ მდივნამდე. ჟურნალისტის მოუსვენარ მუშაობას იგი კარგად ათავსებდა სწავლასთან და 1926 წელს ამთავრებს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიურ ფაკულტეტს.

შ. ბუაჩიძე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული საბჭოთა ხელოვნების დარგში. 1938-1946 წლებში იგი ხელმძღვანელობს სარეპერტუარო კომიტეტს, მუშაობს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" პასუხისმგებელ მდივნად, სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორად და მხატვრულ ხელმძღვანელად.

1947-1949 წლებში შ. ბუაჩიძე კინოფიკაციის რესპუბლიკური კანტორის მმართველია, 1949 წელს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე და სამმართველოს კოლეგიის წევრი, ხოლო 1953 წელს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი და ამ სამინისტროს კოლეგიის წევრი.

შ. ბუაჩიძე წლების მანძილზე საქმის ცოდნით და დიდი სიყვარულით ემსახურებოდა ქართული წიგნის შექმნისა და გამოცემის საქმეს, 1954 წლიდან 1957 წლამდე მუშაობდა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის", ხოლო 1957 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე — გამომცემლობა „განათლების" დირექტორად.

შ. ბუაჩიძე ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას. იგი არის ავტორი ნარკვევთა ორი წიგნისა, რედაქტორი მრავალი მნიშვნელოვანი გამოცემისა. ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას მან შესძინა ტ. ჰეიერდალის „მოგზაურობა კონ-ტიკით" და „აკუ-აკუ"; ა. ნეიხარტის „ქვეყნიერების შვიდი საოცრება"; ს. ცვაიგის „მაგელანი"; ნ. კუნის „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები", რომელსაც ახლა სცემს გამომცემლობა „განათლება".

შ. ბუაჩიძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავმდაბლობით, გულისხმიერებით, იგი დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა მწერალთა, ჟურნალისტთა, პოლიგრაფისტთა და განათლების მუშაკთა შორის, რომლებიც დიდხანს არ დაივიწყებენ მის ნათელ სახელს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი,
გამომცემლობა „განათლება".

ქართველ მეცნიერთა სტუმარი

ამ გაზაფხულზე ქართველ მეცნიერებს საპატიო სტუმარი ეწვია. ორი კვირის მანძილზე ეცნობოდა თბილისს, მის ღირსშესანიშნაობებს, ქართულ უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას გერმანელი ორიენტალისტი, მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი იულიუს ასფალგი.

იულიუს ასფალგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და კავკასიელი ხალხების, კერძოდ, ქართველებისა და სომხების კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების შესწავლის საქმეში.

მან იცის ასურული, ქართული, სომხური და სხვა აღმოსავლური ენები. მეცნიერის კვლევის საგანი ძირითადად ძველი აღთქმის წიგნები და პატრისტული ლიტერატურაა.

იულიუს ასფალგი რომში მოღვაწე ქართველ მეცნიერ მიხეილ თარხნიშვილთან ერთად მუშაობდა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის" პირველი ტომის გერმანულად თარგმნა-გადაკეთებაზე. ეს წიგნი 1955 წელს დაიბეჭდა რომში.

ამჟამად იგი პროფესორ ი. იედლიჩკასთან ერთად მუშაობს ამავე წიგნის მეორე ტომის გერმანულ თარგმანზე. მისი ვარაუდით საზღვარგარეთელი მკითხველი „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომს 1966 წლის ბოლოს მიიღებს.

ჩვენი მეცნიერების მეგობარმა აღწერა და გამოსცა გერმანიაში დაცული ქართული, ასურული და სომხური ხელნაწერები, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1963 წელს გამოვიდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ი. ასფალგი ეწვია უნივერსიტეტს, ინახულა ქართველი მეცნიერები ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი და ძველი ქართული ენის კათედრის თანამშრომლები.

შემდეგ დღეებში ი. ასფალგი საპატიო სტუმარი იყო მეცნიერების — გ. წერეთლის, გ. ჩუბინაშვილის, ი. აბულაძის, ვ. ბერიძის, ი. მეგრელიძისა და სხვებისა.

მეცნიერ მეგობრებთან პირადი შეხვედრებისას ასფალგი უამრავ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებსა და მომავალი მუშაობის პერსპექტივებზე მსჯელობდა.

ქართული სტუმართმოყვარეობით მოხიბლული გერმანელი მეცნიერი სამშობლოში დაბრუნების წინ აღფრთოვანებული ლაპარაკობდა ჩვენი ერის სულიერ კულტურასა და დღევანდელ მიღწევებზე, მცხეთის სიძველეებსა და ატენის სიონის სიდიადეზე, შრომისმოყვარე ქართველ ხალხზე.

გივი შეყილაძე

• • •

სურათზე: (მარცხნიდან) პროფ. ს. ჯიქია, დოც. გ. რამიშვილი, პროფ. გ. წერეთელი, დოც. ლ. კიკნაძე, იულიუს ასფალგი, დოც. ზ. ჭუმბურიძე, დოც. მ. შანიძე, პროფ. ა. შანიძე, დოც. ვ. შილაკაძე, პროფ. ი. იმნაიშვილი.

ფოტო ავტორისა.

ვაჰან ტერიანის საღამო ბოგდანოვკაში

17 აპრილს ბოგდანოვკის კულტურის სახლში მოეწყო გამოჩენილი სომეხი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვაჰან ტერიანის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კპ. ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. დერგარიანმა. მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა სედრაკიანმა.

სიტყვები წარმოთქვეს ლ. გოთუამ, ბ. ელისოემ და ს. აეჩიანმა, რომელმაც წაიკითხა ვაჰან ტერიანის ცნობილი ლექსის „დაბრუნების" ქართული თარგმანი. მეორე დღეს სტუმრებმა პოეტის მშობლიურ სოფელ განძაში დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი, სადაც ვ. ტერიანის თანასოფლელებს სიტყვით მიმართეს ს. აეჩიანმა და ლ. გოთუამ.

ხალხით სავსე დარბაზში სრული დუმილი ჩამოვარდა.

ადამიანები ფეხზე იდგნენ და ამ დუმილში ხმამაღლა რეკდა:

მირზა გელოვანი, ალექსანდრე სულავა, ვლადიმერ უბილავა, სანდრო ეულენტი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი, ია ჩხაიძე.

ისინი დიდ სამამულო ომში წავიდნენ და მხოლოდ თითო წიგნი დარჩათ ომის ცეცხლში ჩაფერფლილი სიცოცხლის გასაგრძელებლად.

მათ ხსოვნას სათუთად ინახავენ ჩვენი მწერლები, მკითხველები, ჩვენი ხალხი.

19 აპრილს მწერალთა კლუბში გამართული ეს საღამოც მათ ხსოვნას მიეძღვნა.

საღამო გახსნა მწერალთა კავშირის სამხედრო მხატვრული ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ მარგიანმა.

გულთბილი მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ ალიო მირცხულავა, დემნა შენგელაია, გიორგი ჭიბლაძე, ვლადიმერ მაჟავარიანი, ალ. სულავას თანამოლაშქრე შალვა კობიაშვილი, ლადო სულაბერიძე, კარლო კალაძე,

[illegible]

ანდრო თევზაძე, ხუტა ბერულავა, შალვა ამისულაშვილი, ვახტანგ ბეწუკელი, გიორგი ქავთარაძე, იოსებ ნონეშვილი. შინმოუსვლელი პოეტების ნაწარმოებები და მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ნოდარ გურეშიძემ, თეიმურაზ ჯანგულაშვილმა, აკაკი გეწაძემ, ალექსანდრე შანიძემ, ილია ხოშტარიამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ელენე საყვარელიძემ, რევაზ მარგიანმა.

გულთბილი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ. მან ილაპარაკა მწერლებზე, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე.

საღამოს ესწრებოდნენ მწერლები, ხელოვნების მუშაკები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ომში დაღუპულ მწერალთა ნათესავები და მეგობრები.

ჟურნალები აპრილში

მნათობი № 4

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის" მეოთხე ნომერი. ჟურნალი იხსნება ქ. ბაქრაძის წერილით „ლენინი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია". ნომერში მოთავსებულია კ. კალაძის, რ. მარგიანის და ზ. ლორთქიფანიძის ლექსები. ს. კლდიაშვილის მოთხრობა „მინანქრის გოგონა ლომბარდში", ს. ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე" (ქრონიკა. პირველი წიგნის დასასრული). ო. ჩხეიძის რომანი „კვერნაქი" (გაგრძელება), ვ. კატაევის „დიდი ცხოვრების ფურცლები" (თარგმანი ვ. წულუკიძისა) და ნ. აბაშიძის „მეორე შეცდომა".

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია დ. მაისურაძის „ლენინი და სოციალისტური კულტურა", გ. კანკავას „ეთიკური პრობლემატიკა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში; შ. რუსთაველის 800 წლისთავს ეძღვნება მ. ბაბურიძის, „ო. თუმანიანი და „ვეფხისტყაოსანი"" და ს. ცაიშვილისა და ნ. ნათაძის „ვეფხისტყაოსნის" „გეოგრაფიული გარემოს" შესახებ". მოგზაურის შთაბეჭდილებებს ვეცნობით აკ. ვასაძის „იუგოსლავიის გზებზე".

წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში დაბეჭდილია ჰ. ზაქარიას, შ. სულაბერიძის, ბ. ხარანაულის, ვ. კახნიაშვილის და ლ. ფრუიძის რეცენზიები.

დროშა № 4

„ოთახი მესამე სართულზე"—ასეთი სათაური აქვს წერილს, რომლითაც ჟურნალის ეს ნომერი იხსნება. კრემლის ერთ-ერთი შენობის მესამე სართულზე ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი ლენინი და ეს წერილიც იცნობს მკითხველს დიდი ბელადის სამუშაო კაბინეტს.

შემდეგ ჟურნალში გამოქვეყნებულია წერილები და ნარკვევები: ხ. აბულაძის „დრო, მოდა და აბრეშუმი", ო. დემეტრაშვილის „შირაქის ველზე მივდივარ", დ. გვირტიშვილის „არა სამართლით და გასამართლებლად", ა. კუსრაშვილის „როცა ღმუიან თვითმფრინავები", ს. ნასარიძის „როიალ დატჩ-შელი" და „ბავშვთა სამყარო", ა. სივუას „კიდევ ერთი დღემდე უცნობი წიგნი", ვლ. ჯიბუტის „მთარგმნელის ოსტატობა", ა. კაიშაურის „თამარ ნიკოლაძე", ბ. ტოგონიძის „მშენებელი მეცნიერების ტაძრისა", ზ. ილულიშვილის „ჩვენი სოფლის პეიზაჟი", ა. უშვერიძის „შიშის საზღაური", პ. აბრამის, ნ. გაბრიჩიძის, ნ. ნარსიას, ბ. ბერიაშვილის ლექსები, ალ. გლეზერის ლექსი „საუბარი მეგობართან" (თარგმნა ტ. ჭანტურიამ), რ. მიმინოშვილის ნოველა „წითელკაბიანი თოჯინა", ლ. ძიძიგურის იუმორისტული მოთხრობა „შელები".

ახალი წიგნები

„ლიტერატურა და ხელოვნება"

ხუტა ბერულავა — სიხარე. (ლექსების წიგნი შედგება განყოფილებებისაგან: „შენი პატარა სვეტიცხოველი", „კოლხური მელოდიები" და „ლექსები ჩემი მეგობრებისა"). რედაქტორი — ლ. ქადაგიშვილი, მხატვარი — თ. სამსონაძე. გვ. 94, ფასი 18 კაპ.

მიხეილ ლობეიცკი — უცნობი. (რომანი), რუსულ ენაზე, რედაქტორი — მ. ზავერინი, მხატვრები — ლ. ნოდია, თ. სამსონაძე, გვ. 316, ფასი 67 კაპ.

„საბჭოთა საქართველო"

ე. ტარლე — ტალეირანი. (თარგმანი რუსპირელებისა). რედაქტორი — ვ. გოგლაშვილი, მხატვარი — ი. ტუკლე. გვ. 338, ფასი 70 კაპ.

„ნაკადული"

საზღვარგარეთის ხალხთა ზღაპრები. რედაქტორი — ლ. ქადაგიშვილი, მხატვარი — თ. მირზაშვილი — გვ. 276, ფასი 78 კაპ.

ელიზბარ უბილავა — ანკალიის ღამე. რედაქტორი — ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — ი. ქლიბაძე. გვ. 296, ფასი 49 კაპ.

იშტვან კორმოში — „ცეროდენა ხარები". (ზღაპარი სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის, თარგმანი მიყვალა მრევლიშვილისა). რედაქტორი — ლ. ქადაგიშვილი, ფასი 48 კაპ.

ნ. ნოვოსელოვი — პატარა სახლი ვიბორგში. (მოთხრობა, თარგმანი გ. ნატროშვილისა). რედაქტორი — შ. ჰაპანიძე, მხატვარი — რ. ცუცქირიძე. ფასი 15 კაპ.

ევგენი პერმიაკი — სხვისი ჭიშკარი. (მოთხრობები, მთარგმნელი შ. ჰაპანიძე). რედაქტორი — ნ. ჩირაძე, მხატვარი — დ. ერისთავი. გვ. 204, ფასი 19 კაპ.

სადა ხარ
მარინე

დავით კვიცარიძე — სადა ხარ, მარინე? (რომანში მოთხრობილია დიდი სამამულო ომის წლებში დაბადებული სიყვარულის ამბავი, რომელიც გულწრფელად და მღელვარე დრამატიზმით არის გადმოცემული), რედაქტორი — ლ. გეგელია, მხატვარი — ვ. ნინიძე, გვ. 200, ფასი 43 კაპ.

აკაკი ართილაკვა — ფეხბურთელი დათუნები. (მოთხრობები). რედაქტორი — ლ. ჭეჭინაძე, მხატვარი — დ. დუნდუა. გვ. 58, ფასი 8 კაპ.

გამარჯვების პანო

ოცი წლის წინათ, 1945 წლის 30 აპრილს ომის ქარცეცხლში გამოწრთობილმა ორმა მამაცმა მებრძოლმა მიიღო მეტად რთული და საპატიო დავალება. მათ რეიხსტაგის სახურავზე გამარჯვების წითელი დროშა უნდა აღემართათ. ესენი იყვნენ ამჟამად უკვე საბჭოთა კავშირის გმირები სერჟანტი მიხეილ ეგოროვი და წითელარმიელი მელიტონ ქანთარია.

ბრძოლა ბერლინის ქუჩებში წარმოებდა. რეიხსტაგისათვის თავგანწირულად იბრძოდნენ საბჭოთა მეომრები. გამარჯვების ალამი ჯერ პირველი სართულის სარკმელში აფრიალდა, შემდეგ კი — მეორე სართულის სარკმელში.

რეიხსტაგის სახურავის ფრონტონთან იდგა ბრინჯაოს ქანდაკება სიმბოლური გამოხატულებით: ცხენზე იჯდა „უძლეველი გერმანიის" გვირგვინოსანი სიმბოლური ფიგურა, ხოლო მას აქეთ-იქით ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ომისა და მშვიდობის სიმბოლური ფიგურები. აი, ამ ბრინჯაოს ქანდაკებაზე აღმართეს გამარჯვების დროშა ეგოროვმა და ქანთარიამ მაშინ, ხანამ ბრძოლის უკანასკნელი ცეცხლი ჩაქრებოდა და მტერი უკუიქცეოდა. ამის შემდეგ გამარჯვების დროშა რეიხსტაგის გუმბათის თავზე გადაიტანეს.

ამ ღირსშესანიშნავ თემაზე ქარგულობით შესრულებული დიდი ზომის დეკორატიული პანო იპყრობს მაყურებლის ყურადღებას ხალხური სახვითი ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციაში.

პანო „გამარჯვების წითელი დროშის აღმართვა რეიხსტაგზე" შესრულებულია საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან არსებულ ქართული ხალხური სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინატში 1949 წელს. ესკიზის ავტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დავით ციციშვილი, ტექნიკური ხელმძღვანელი — ქართული ხელსაქმის ცნობილი მცოდნე და არაერთი სპეციალისტის აღმზრდელი ანასტასია ჭანდიერი. ესკიზის ავტორს მხატვარ დავით ციციშვილს თავისი სურათისათვის შეურჩევია ის მომენტი, როდესაც საბჭოთა მებრძოლები სერჟანტი ეგოროვი და წითელარმიელი ქანთარია გამარჯვების წითელ დროშას აღმართავენ რეიხსტაგის სახურავზე მთავარ ბრინჯაოს ქანდაკებაზე. პანო მოქარგულია ცნობილი ქართველი მქარგველების — მაკა წერეთლის, დარო მამადაშვილის, ვარო ზიარელაშვილის, ოლღა არღუთინსკაიას, მარო ცხომელიძის და ეკატერინე სამუშიანის მიერ.

პანოსათვის გამოყენებულია სამასამდე სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფი. დასახელებული რიცხვი ცხადყოფს, თუ რაოდენ რთულია პანოს კოლორიტი.

პირველ პლანზე მოცემულია რეიხსტაგის სახურავზე მდგარი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელზედაც ორი საბჭოთა მამაცი მეომარი ამაგრებს ალისფერ დროშას. მეორე პლანზე მოცემულია საბჭოთა მეომრების ფიგურები, რომელნიც ფეხდაფეხ მისდევენ ეგოროვს და ქანთარიას. შორს მოჩანს დიდი და მძიმე ბრძოლებგადატანილი ბერლინის ხედი.

კარგი ტექნიკური ნახატის საშუალებით ნაქარგობა შესრულებულია ზედმიწევნითი სიზუსტით, დიდი ოსტატობითა და გემოვნებით. მებრძოლთა ფიგურები, ქანდაკება, სივრცე და ყველა დეტალი მატერიალურად არის გადმოცემული.

ვერცხლისფერი ღრუბლები ცაზე, აფრიალებული გამარჯვების დროშა და მებრძოლთა ფიგურები ხელს უწყობს მაყურებელს ბრძოლის განწყობილების შესაქმნელად. ქართული ნაქარგების ტექნიკის მრავალფეროვანი სახეობათაგან შეურჩევიათ ისეთი სახეობა, რომელიც კოლორიტის შესანიშნავ გადმოცემასთან ერთად ხელს უწყობს მაყურებელს აღიქვას ეს ნაწარმოები, როგორც მაღალმხატვრული ფერწერული ტილო.

ირინე უზნაძე



ნინო ტაბიძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტის ტიციან ტაბიძის ცხოვრების მეგობარი, მისივე წიგნების ერთ-ერთი რედაქტორი, ლიტერატორი ნინო ტაბიძე.

ნინო ალექსანდრეს ასული მაყაშვილი-ტაბიძე დაიბადა 1900 წელს, ყვარელში. მან თელავში დაამთავრა ქალთა გიმნაზია და თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. აქ გაეცნო ტიციან ტაბიძეს და 1920 წელს დაქორწინდა მასზე.

ოჯახის შექმნის პირველი დღეებიდანვე ტაბიძეების ბინა იქცა მწერალთა შესაკრებ ადგილად. აქ იკრიბებოდნენ ტიციანის მეგობარი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები. ამ ერთგვარ ლიტერატურულ სალონში, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ნინო ტაბიძე იყო, კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ ლიტერატურის მდგომარეობასა და პრობლემებზე. ნინო ტაბიძე თავის მეუღლესთან ერთად იყო თბილისში სტუმრად ჩამოსული რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა მწერლების გულთბილი მასპინძელი. ტაბიძეების ხშირი და სასურველი სტუმრები იყვნენ სერგეი ესენინი, ანდრეი ბელი, ილია ერენბურგი, ბორის პასტერნაკი, ლეონიდ ლეონოვი, იური ტინიანოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პაველ ანტოკოლსკი, პეტრე პავლენკო, ელიშე ჩარენცი, მიკოლა ბაჟანი და სხვა გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები.

ტაბიძეების ოჯახის მეგობრებისათვის ნინო ტაბიძე, ეს შესანიშნავი დიასახლისი, სათნო დედა და უმწიკვლო ადამიანი, მათივე თქმით, იყო პოეტური მუზა, შთაგონების წყარო. მას ლექსები მიუძღვნეს გიორგი ლეონიძემ, პაოლო იაშვილმა, შალვა აფხაიძემ და სხვ. მან არაერთი შესანიშნავი ლირიკული ლექსი შთააგონა თვით ტ. ტაბიძეს.

ნინო ტაბიძეს თანამედროვე რუს და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მწერლებთან დიდი მეგობრობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა, რაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ შეუწყვეტია. მან ბევრი საინტერესო მოგონება შემოგვინახა მათზე და თავის არქივში დააგროვა მათი მრავალი წერილი, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვთ. თავისი არქივის ნაწილი ნ. ტაბიძემ გადასცა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნინო ტაბიძე შეუდგა მოგონებათა წერას. მან მეტად საინტერესო მოგონებები გამოაქვეყნა ვლ. მაიაკოვსკიზე, ს. ესენინზე, ბ. პასტერნაკზე, ი. ტინიანოვზე, პ. პავლენკოზე და სხვ. ნ. ტაბიძეს განზრახული ჰქონდა მოგონებათა დიდი წიგნის დაწერა, რაც, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

ნინო ტაბიძემ დიდი ამაგი დასდო ჩვენს ლიტერატურას. მან იშვიათი რაინდული ერთგულება გამოიჩინა უსამართლოდ დაღუპული თავისი მეუღლის ხსოვნისა და პოეტური მემკვიდრეობისადმი, — დიდი მზრუნველობით შემოინახა და დაიცვა ტ. ტაბიძის ბევრი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები და ამ ბოლო წლებში გამოაქვეყნა. მანვე შეკრიბა და რედაქცია გაუკეთა ტ. ტაბიძის ნაწარმოებებს, რომლებიც ცალკე წიგნებად დაიბეჭდა უკანასკნელი წლების მანძილზე. ნ. ტაბიძე ხელმძღვანელობდა აგრეთვე ტიციანის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნას.

ნინო ტაბიძეს ჰქონდა ფართო და მრავალმხრივი განათლება. მან 1937 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, წლების მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ის იყო გამჭრიახი გონებისა და მოსიყვარულე გულის პატრონი და პირველი შეხვედრისთანავე ხიბლავდა ადამიანს თავისი დიდი სულიერი სინატიფითა და სითბოთი.

შესანიშნავი ქართველი მოღვაწე ქალის, ქართველი მწერლების გულითადი მეგობრის ნინო ტაბიძის ხსოვნა წარუშლელი იქნება ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ორშაბათს. 26 აპრილს

ორშაბათს, 26 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის კინოკომისია, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების სახლის გამგეობა და სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების საქართველოს სტუდიის შემოქმედებითი სექცია ხელოვნების მუშაკთა სახლში (მაჩაბლის ქ № 8) აწყობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის კინოკომისიის თავმჯდომარე, მწერალი მარიკა ბარათაშვილი. მოხსენებას — „კინოაპარატით სამამულო ომის დღეებში" წაიკითხავს კინოდრამატურგი კარლო გოგოძე.

მოგონებებით გამოვლენ სამამულო ომის მონაწილე მწერლები და კინომუშაკები.

დასასრულ ნაჩვენები იქნება კინოფილმები: „ჩვენ ვიცავდით კავკასიას", „მარუხის გადასასვლელზე", „გენერალი ლესელიძე", „ომი ზღვაზე" და „მტრის კვალდაკვალ".

დასაწყისი საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი — 9-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00620.